ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„რუსთავი 2“ კვლავ ქიბარ ხალვაშს დარჩა

გვ.5

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 2021 №233 (8762) ფასი: 60 თეთრი

„ციხიდან შერიგებაზე ლაპარაკი აღვილია“

გია ხუხაშვილი: „დღეში 60-70 კაცი იღუპება პანდემიით. მათი სიცოცხლე სიცოცხლე არ არის? ვერ გავიგე, მხოლოდ მიშაზე უნდა ვილაპარაკოთ?!“

გვ.2

„ინფლაცია გვაქვს 12,5%-იანი. ამ ინფლაციას მაინც ვერ დაიჭერენ, სამაგიეროდ, ეკონომიკური პროცესი აბსოლუტურად ჩერდება. საით მივექანებით, ვერ გავიგე!“

„სააკაშვილი „ოცნებას“ ტვირთად აწევს“

გია ნოდია: „პრეზიდენტმა რომც შეიწყალოს სააკაშვილი, ეს არ ნიშნავს რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება“



გვ.3

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან დიდია იმედგაცრუება“

გვ.4

გიგა ბუკია: „სააკაშვილი თან იმუქრება და თან შერიგების ინიციატივით გამოდის“

გვ.5

პროკურორი გუბელაძე: „გვარამიას, დამენიასა და იაშვილისთვის გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი მაქვს“

ადვოკატი საძაგლიშვილი: „რუსთავი 2 ყველაზე წარმატებული ნიკა გვარამიას დროს იყო“

ღარიბაშვილი ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა

გვ.3

ვახტანგ გოგელაური სოგხეთის პოლიციის უფროსს მასპინძლობს

გვ.5

ISSN 1987-9385

5 პენიტენციარული სამსახური: „სააკაშვილის მიმართ არ არის გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება“

3 კობა გვენეტაძე: „არ ვაპირებ გადადგომას“

5 ჯაბა ჯანგირაშვილი: „ზვიადაურს რომ არ ესროლა, არც მე ვიქნებოდი ცოცხალი და არც ის“

6 უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში ბაიდენი პუტინს სერიოზული სანქციებით დაემუქრა

„ციხიდან შერიგებაზე ლაპარაკი ადვილია“

გია ხუხაშვილი: „დღეში 60-70 კაცი იღუპება პანდემიით. მათი სიცოცხლე სიცოცხლე არ არის? ვერ გავიგე, მხოლოდ მიშაზე უნდა ვილაპარაკოთ?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მიიჩნევენ, რომ მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად ერთადერთი სწორი გზა ამნისტიაა, რასაც არ იზიარებენ პრეზიდენტი და უმრავლესობა. როგორია თქვენი შეფასებები, როდემდე შეიძლება, ასეთი ქაოსი გაგრძელდეს ქვეყანაში? უამრავი პრობლემაა, რომლებიც ყურადღების მიღმა რჩება.

– სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა, რომ მიხეილ სააკაშვილით ვიძინებთ და ვიღვიძებთ. ეს ერთგვარად ხელისუფლების ინტერესებშია, იმიტომ, რომ მათთვის ბევრად უფრო კომფორტულია, მიშა სააკაშვილზე ვილაპარაკოთ, ვიდრე იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტის სერიოზული პრობლემა აქვთ. ნახეთ, როგორი ინფლაციაა. ამ ინფლაციამ ფაქტობრივად შეჭამა ვითომ ეკონომიკური ზრდა. განაკვეთი კიდევ უფრო გაზარდა და ის ადამიანები, რომლებსაც კრედიტები ჰქონდათ აღებული ან აღება უნდოდათ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. არის ტოტალური უმუშევრობა, პანდემიის მართვასთან არსებული შეცდომები. მილიონი პრობლემა აქვს ხელისუფლებას.

– ჩვენ კი ვსაუბრობთ მიშაზე.

– რა თქმა უნდა, მათ ურჩევნიათ, ილაპარაკონ მიშაზე, ვიდრე ყველაფერ ამაზე და, რაც მთავარია, საზოგადოებაც და ოპოზიციაც ამ ყველაფერს ხელს უწყობენ. დიდი ბოდიში, მაგრამ ამ ფონზე, როგორ შეიძლება, მიშა სააკაშვილის გათავისუფლება მთავარი თემა იყოს?! რისთვის ჩამოდიოდა?! იმისთვის, რომ ამაზე გველაპარაკა? თავისუფალი იყო და ყოფილიყო, დატეულიყო იმ უკრაინაში, რას მოდიოდა?!

– სწორედ ამიტომ ჩნდება საზოგადოების ერთ ნაწილში კითხვა: ხომ არ იყო ეს ყველაფერი შეთანხმებული?

– შეთქმულების თეორიას ხომ ვერ განვავითარებ, მაგრამ ფაქტია, ის, რაც ხდება სააკაშვილის ირგვლივ, აწყობს მხოლოდ ხელისუფლებას. ის კიდევ ციხიდან განცხადებებს აკეთებს.

– ეროვნული შერიგება უნდა მოხდესო...

– დიახ, ეროვნული შერიგებაო. დიდი ბოდიში. ეს რომ ეთქვა მას არჩევნების წინ, ნაცვლად იმისა, რომ ტრაილერით საქართველოში ჩამოსულიყო, შეიძლებოდა, ამას ჰქონოდა მნიშვნელობა და სულ სხვანაირად დამთავრებულიყო არჩევნები. ეს მაშინ გაეკეთებინა. პოლიტიკაში ყველაფერს აქვს თავისი დრო და ადგილი. ყველაფერი უნდა გააკეთო მაშინ, როცა ეს არის სწორი და საჭირო. ახლა ეს მისი განცხადებები დროსა და სივრცეში აბსოლუტურად დაკარგული და არაადეკვატურია.

– ხელისუფლებისთვისაც ხელსაყრელი სიტუაციაა, გამოდიან და აცხადებენ, არ განვიხილავთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, სანამ ასეთი დესტრუქციული ვითარებაა.

– ნუ მიიღებენ ამ ცვლილებებს, რას გადაგვაყოლეს! მთავარია, რომ არის პროპორციული არჩევნები. თუ 2%-იანი პარტია პარლამენტში არ იქნება, საერთოდ არ ვთვლი, რომ ეს პრინციპულია! ჩვენ გვჭირდება კოალიციური მმართველობა. კოალიციურ მმართველობაში უნდა იყვნენ ისეთი პარტიები, რომლებიც მინიმალურ ცენზს აკმაყოფილებენ. ვერ გავიგე, მარტო ოჯახის წევრები რომ უჭერენ მხარს, ყველა ასეთი პარტია პარლამენტში უნდა შევიდეს?! კოალიცია ჩვენ გვინდა სამპარტიიანი, ოთხპარტიიანი და არა 50-პარტიიანი. ჰოდა, არ იქნება და ნუ იქნება!

– მიხეილ სააკაშვილის განცხადებები ეროვნულ შერიგებაზე და ოპოზიციის განცხადებები მის შეწყალებაზე, ფიქრობთ, დაგვიანებულია?

– საერთოდ არ მიმაჩნია, რომ ეს თემა პრინციპულია. დაგვიანებულია თუ არა, შეიწყალებენ თუ არ შეიწყალებენ, ეს არ არის თემა! ვიმეორებ, რისთვის ჩამოვიდა? იმისთვის, რომ ჩამჯდარიყო ციხეში და მერე ჩვენ გველაპარაკა მის გათავისუფლებაზე?! თავისუფალი იყო, რას მოდიოდა, ვერ გავიგე!

– ბატონო გია, ამბობენ, თავისიანებმა დაარწმუნეს, რომ მისი ერთი ხელის აქნევით აქ სიტუაცია შეიცვლებოდა ან კიდევ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებდაო. თქვენ რას იტყვით?

– შეთანხმების ნაკლებად მჯერა. შეიძლება, ვიღაცები არწმუნებდნენ, ვიღაცები ერეკებოდნენ ხრამისკენ. ეს ყველაფერი დეტალებია. არა მგონია, რომ სააკაშვილთან პირადი შეთანხმებები ყოფილიყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შედეგი ეს გვაქვს და არანაირი მნიშვნელობა ჩვენთვის არა აქვს, რეალურად ამის უკან რა დგას. ფაქტია, რომ დაზიანდა მთლიანად პოლიტიკური პროცესი, ზიანდება სახელმწიფო, იმიტომ, რომ ხელისუფლება არ ზრუნავს არც ერთ სახელმწიფოებრივ პრობლემაზე და მიშა სააკაშვილზე ღადაობითა და ენაკვიმატობით არის დაკავებული.

„ინფლაცია გვაქვს 12,5%-იანი. ამ ინფლაციას მაინც ვერ დაიჭერენ, სამაგიეროდ, ეკონომიკური პროცესი აბსოლუტურად ჩერდება. საით მივექანებით, ვერ გავიგე!“

– ყველა მხოლოდ ამ თემის ირგვლივ ვტრიალებთ.

– დიდი ბოდიში და სწორედ მედია უქმნის ამის კომფორტს. ნაცვლად იმისა, რომ სწორედ ეს პრობლემური კითხვები დასვან, მხოლოდ მიშა სააკაშვილზე ეკითხებიან. ხელისუფლებას აქვს კომფორტი იმიტომ, რომ არც მედია, არც საზოგადოება სხვა თემებს არ წამოჭრიან მის წინაშე და ისიც არის კარგად. ამდენი რაღაც ხდება და მედიას მხოლოდ სააკაშვილის ბედი აინტერესებს. ამაზე ჩავიკეტეთ. კი ბატონო, ესეც მნიშვნელოვანი თემაა, მე არ ვამბობ, რომ საერთოდ დავივიწყოთ, მაგრამ უამრავი პრობლემაა ქვეყანაში, სადამდე უნდა ვილაპარაკოთ ერთი კაცის ბედზე?! დღეში 60-70 კაცი იღუპება პანდემიით. იმ ადამიანების სიცოცხლე სიცოცხლე არ არის? ვერ გავიგე, მხოლოდ მიშაზე უნდა ვილაპარაკოთ?!

– ამით ფარავენ სხვა საკითხებს?

– დიახ და ჩვენ ვაძლევთ ამის კომფორტს, ჩვენ ვუქმნით ამ სიტუაციას, რომ მხოლოდ ამაზე ილაპარაკონ. მიშა გაავრცელებს განცხადებას ციხიდან, მერე ჩვენ ამაზე ვილაპარაკებთ და ვიქნებით ბედნიერები. ახალი წელი მოდის და ხალხს საჭმლის ფული არა აქვს. მიშა სააკაშვილი დილას რას გამოაგორებს, იმაზე უნდა ვილაპარაკოთ?! ახლა გამოვიდა და რაღაც შერიგებაზე ახალი განცხადება გამოაგორა. რა შერიგებაზე ლაპარაკობს? შერიგებაზე ელაპარაკა ადრე! ციხიდან შერიგებაზე ლაპარაკი ადვილია, დამიჭირეთ და მოდით ახლა და შემირიგდითო?! რა არის ეს, რა უბედურებაა!

– პრემიერი ყელმოღერებული გამოდის და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე გვესაუბრება. დაგვცინის?

– ეს არის ცინიზმი! ინფლაცია გვაქვს 12,5%-იანი, მათივე აღიარებით, ანუ ინფლაციამ მთლიანად შეჭამა, თუნდაც ორნიშნა რომ იყოს, ეკონომიკური ზრდა. მერე ეს განაკვეთი რომ იზრდება და ხელოვნურად ცდილობენ ინფლაციის დაჭერას, ამ ინფლაციას მაინც ვერ დაიჭერენ, სამაგიეროდ, ეკონომიკური პროცესი აბსოლუტურად ჩერდება. ამ განაკვეთით რა ეკონომიური აქტივობა უნდა იყოს ქვეყანაში? ვერ იქნება. მერე ეს უზარმაზარ სოციალურ პრობლემაშია გადაზრდილი. საით მივექანებით, ვერ გავიგე! მიშამ კარგ ხასიათზე გაიღვიძა, მიშა დღეს დეპრესიაშია – მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობთ.

– მოსახლეობაც დაიღალა, ვხედავთ, რომ ოპოზიციის აქციებზეც ვეღარ გამოჰყავთ ბევრი ხალხი.

– რა აქციები, ხალხო! კი, ვიღაცას აწუხებს მიშა სააკაშვილის თემა და მე მესმის ეს, განა არ მესმის, მაგრამ ამით ხელისუფლებას კომფორტს რომ უქმნიან, ამას რატომ ვერ ხვდება ეს ხალხი?! ან ხვდება და ამიტომაც აღარ გამოდის ამ აქციებზე.

– გამოსავალი რა არის შექმნილი სიტუაციიდან?

– ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანს. ჩვენ გვჭირდება სისტემური ცვლილებები. პოლიტიკური პროცესის გახსნა გვჭირდება. ადეკვატური პოლიტიკური ელიტა გვჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ელიტა ხაფანგშია მოქცეული. ერთი ნაწილი ეპოტინება ხელისუფლებას და მეორე ნაწილს ფეხების ბაკუნით უნდა ხელისუფლებაში მოსვლა.

სააკაშვილი: „თანამდებობა მე არ მჭირდება — ჩვენ გვჭირდება საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია“

– ჩვენ გვჭირდება საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია და მრგვალი მაგიდა ხელისუფლების გადანაწილებასა და არჩევნებამდე მისვლაზე.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვაშია საუბარი, რომელიც გუშინ, 8 დეკემბერს, პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიმდინარე აქციაზე ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა გააჟღერა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, არავითარი თანამდებობის სურვილი არ ამოძრავებს და ლიდერების სრულიად ახალი თაობა უნდა მოვიდეს, თავად კი ლაზიკაში ინვესტიციების მოზიდვითა და განათლების სექტორში დაკავდება.

– აუცილებელია, თითოეულმა ჩვენგანმა ვიმუშაოთ ახალგაზრდებთან და ავუხსნათ ბევრი რამ. არანაირი თანამდებობის სურვილი არ მამოძრავებს. თუ ვინმეს დასჭირდება ჩემი რჩევა და გამოცდილება, სიამოვნებით გავუზიარებ გარდამავალ, კოალიციურ საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ვუზიარებდი მთელი ეს წლები უკრაინის, ალბანეთის ან შუა აზიის მთავრობებს.

უნდა მოვიდეს ლიდერების სრულიად ახალი თაობა. მე დავკავდები ინვესტიციის მოზიდვებით ლაზიკაში და

განათლებაში, უფრო თავისუფალი და მობილიზებული, ვიდრე ვიყავით. დღეს ბევრი ნიჭიერი და გენიალური ადამიანი შეიკრიბა პრეზიდენტის სასახლესთან, თქვენი მაგალითი მნიშვნელოვანია და მერწმუნეთ, თოვლის გუნდის ეფექტით მეტი და მეტი ხალხი შეგიერთდებათ. თქვენ აუცილებლად გაიმარჯვებთ, წამმზომი ჩართულია და ბევრი დრო არ გრჩებათ! წარმატებები თქვენ და მთელ საქართველოს, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ეკა ხერხეულიძე: „მიშას აქვს წნევა, დადის ბარბაცით და 9 დეკემბერს სასამართლოზე ვერ მივა“

– მიხეილ სააკაშვილს ახლა აქვს წნევა, ადამიანი, უბრალოდ, ვერ მოძრაობს დამოუკიდებლად, ბარბაცით დადის – ის, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს 9 დეკემბერს სასამართლოზე გამოცხადებას.

ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა, ეკა ხერხეულიძემ, გორის სამხედრო ჰოსპიტალში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის განცხადებით, სასამართლო არის ერთადერთი ადგილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს შეუძლია ტრიბუნად გამოიყენოს.

– ამ ეტაპისთვის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უფრო უნდა ვისაუბროთ, რადგან ახლა აქვს წნევა, ადამიანი უბრალოდ ვერ მოძრაობს დამოუკიდებლად, ბარბაცით დადის. სავარძლიდან საწოლამდე მანძილი ძალიან პატარაა, მაგრამ სიმყარეს ვერ გრძნობს, არ აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე, რომ ის დამოუკიდებლად გადაადგილდეს.

ვფიქრობ, რომ ის ფიზიკურად ვერ შეძლებს დასწრებას სასამართლოზე. მას ძალიან გული წყდება ამასთან დაკავშირებით. იცით, რომ სასამართლო არის ერთადერთი შესაძლებლობა, სადაც შეუძლია ეს პლატფორმა გამოიყენოს ტრიბუნად და, რა თქმა უნდა, დასანანია, რომ ის სავარაუდოდ, ვერ შეძლებს, გამოცხადდეს სასამართლოზე, – განაცხადა ეკა ხერხეულიძემ.

„მამუკა ბახტაძე ამერიკაში ცხოვრობს და ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს“

დიმიტრი ცქიტიშვილის განმარტება

– არანაირი გეგმები პოლიტიკაში დაბრუნების არ არის – მთავრობის მეთაური იყო – აღარ არის, მეც ვიყავი პარლამენტარი და აღარ ვარ პარლამენტარი, ჩვენ გვაქვს რესურსი, ამ რესურსს ვიყენებთ და ჩვენს მეგობრებთან ერთად ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ ამ ძალიან საინტერესო პროცესს და შევქმნათ ფინანსური ინსტიტუტის ბაზა საქართველოში.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა დიმიტრი ცქიტიშვილმა ფორინ პოლისისა და ახლადშექმნილი ამერიკულ-ქართული ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის ერთობლივ ღონისძიებაზე განაცხადა, რითაც უპასუხა ჟურნალისტის კითხვას – ბრუნდება თუ არა ყოფილი პრემიერი მამუკა ბახტაძე პოლიტიკაში.

დიმიტრი ცქიტიშვილის განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ამერიკაში საქმიანობს და მას არანაირი პოლიტიკური გეგმები არ აქვს.

– ჩვენი ფონდის, ორგანიზაციის ამოცანაა, ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან ერთად უზრუნველვყოთ ამ ოფისის რეგიონალური წარმომადგენლობის საქართველოში დაფუძნება, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებული იქნება საქართველოსა და რეგიონულ პროექტებზე და უზრუნველყოფს, რომ დიდი რეგიონული პროექტების მეშვეობით მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა, სამუშაო ადგილების გაჩენა და, საბოლოო ჯამში, სიღარიბის დაძლევა. პოლიტიკური გეგმები ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის, მამუკა ამ ეტაპზე ცხოვრობს ამერიკაში და მისი უშუალო საქმიანობა არის ამერიკაში.

არანაირი გეგმები პოლიტიკაში დაბრუნების არ არის, ეს საქმიანობა მაგას არცერთ შემთხვევაში არ უკავშირდება. მე მესმის, რომ ყოველთვის ყოფილი პოლიტიკოსის გამოჩენა გარკვეულ კითხვებს აჩენს, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკასთან კავშირში. არანაირი პოლიტიკური გეგმები არ გვაქვს, ჩვენ გვაქვს კონკრეტული ამოცანები, რომ შეიქმნას ამერიკის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კორპორაციის წარმომადგენლობა საქართველოში, – განაცხადა დიმიტრი ცქიტიშვილმა.

ამერიკულ-ქართული ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდი 2021 წლის აგვისტოში დაფუძნდა, რომლის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ყოფილი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძეა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი „ოცნებას“ ტვირთად აწევს“

გია ნოდია: „პრეზიდენტმა რომც შეიწყალოს სააკაშვილი, ეს არ ნიშნავს რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება“



იაგო ნაცვლიშვილი

წავა თუ არა ხელისუფლება საყოველთაო შერიგებაზე, შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი ყოფილ პრეზიდენტს, 6-წლიანი ციხე თუ ექსტრადიცია და ხომ არ ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილსაც არაფორმალური მმართველობისკენ მიუწევს გული? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს.

– როგორ წარმოგიდგენიათ შერიგება, რომელზეც საუბრობს მიხეილ სააკაშვილი და ხედავთ თუ არა ამ რესურსს? ხელისუფლებისგანაც გაქვთ შემხვედრი ნაბიჯების მოლოდინი?

– არა, ხელისუფლებისგან ამას არ ველოდები. ძნელი სათქმელია ისიც, რას გულისხმობს სააკაშვილი, იმიტომ, რომ მას არ აქვს ბერკეტები. შერიგებაზე ლაპარაკი აზრიანია მისგან, ვისაც აქვს ძალაუფლების ბერკეტები. რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი ყველას შეუძლია, არავისთვის აკრძალული არ არის, მაგრამ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ ეს მოდის ხელისუფლებისგან, მაგრამ ხელისუფლებაში სრულიად ნულოვანი მზაობაა ამისთვის. პირიქით, ხელისუფლება და მისი რიტორიკა მთლიანად აგებულია შეურიგებლობასა და შურისძიებაზე. ყველა ოპოზიციური პარტიის მიმართ აქვს ეს შეურიგებელი დამოკიდებულება, მაგრამ პირველ რიგში – ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მისთვის მიუღებელია ყველა, ვინც მას აკრიტიკებს.

– ამ ვითარებაში პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები რაში მდგომარეობს, ისევ ასეთი რყევები უნდა გააგრძელოს ოპოზიციამ თუ რჩება სხვა საშუალებებიც?

– გამოსავალში რა იგულისხმება, ეს არის საინტერესო. ხელისუფლება თვლის, რომ გამოსავალი არ არის საჭირო და ყველაფერი კარგადაა. გააჩნია, გამოსავალს რაში ვხედავთ. ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანებისა და ოპოზიციისთვის გამოსავალი ალბათ ხელისუფლების შეცვლაა.

– ხელისუფლება პოლიტიკურ კრიზისს ვერ გრძნობს?

– არა, მე მგონია, რომ ვერ გრძნობს და ეს მისი ოფიციალური რიტორიკაც არის, რომ კრიზისი არ არსებობს. როდესაც შარლ მიშელის ჩამოსვლის შემდეგ რაღაცნაირად იძულებული გახდა, კრიზისი რაღაც ფორმით ეღიარებინათ... გახსოვთ, მაშინაც ამბობდნენ, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული კრიზისი და ახლა დამთავრდა. ხელისუფლების თვალსაზრისით კრიზისი არ არსებობს და სინამდვილეში არც არასდროს არსებულა. ამაზეა მისი რიტორიკა აგებული.

– სააკაშვილის რიტორიკა რაზეა აგებული? წერილში ის საუბრობს იმაზე, რომ მას არ სურს არანაირი თანამდებობა, ადგილი უნდა დაუთმოს ახალ თაობას და ის მხოლოდ რჩევებს მისცემს. კითხვა ხომ არ ჩნდება, რომ მასაც არაფორმალური მმართველობისკენ მიუწევს გული?

– არა მგონია, რომ ეს შესაძლებელი იყოს სააკაშვილის შემთხვევაში, რომც მიუწევდეს გული, მაგრამ რაღაც ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ადამიანს. ყოველ შემთხვევაში, თუ წარმოიდგენთ, რომ ნაციონალური მოძრაობაა ხელისუფლებაში და სააკაშვილს ფორმალურად არანაირი თანამდებობა არ უკავია, მაშინ, ბუნებრივია, რომ ასეთი რამეც შეიძლება ვთქვათ. სააკაშვილიც ვერ უარყოფს ამას ადვილად, მაგრამ, ჩემი აზრით, დღეს ის ასე საუბრობს იმიტომ, რომ ესმის, ნეგატიური რეიტინგი აქვს. ის არ არის გამაერთიანებელი ფიგურა. ბევრისთვის ის არის ძალიან პოზიტიური მნიშვნელობის ლიდერი, მაგრამ ვიღაცისთვის მიუღებელია. ამიტომ ასე რეალისტურად აფასებს ამ ვითარებას, უნდა, რომ გვერდზე გადადოს ის ნეგატივი, რომელიც პირადად მასთან არის დაკავშირებული.

– დროში აცდენილი ხომ არ არის მისი გუშინდელი განცხადება მის დისტანცირებასთან დაკავშირებით ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში და ამის გაკეთება არჩევნების წინ უკეთესი ხომ არ იქნებოდა?

– არ ვიცი, ძალიან ძნელი სათქმელია, როდის იქნებოდა უკეთესი და როდის – შედეგიანი ან რამდენად იმოქმედებდა არჩევნების შედეგებზე. მას, შეიძლება, პირიქით ეგონა, უშუალოდ არჩევნების წინ რომ ჩამოვიდოდა, ეს უფრო მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა არჩევნებზე. ამის თქმა ძალიან რთულია.

– მიუხედავად პრეზიდენტ ზურაბიშვილის მკვეთრი პოზიციისა, აქტივისტები მაინც სთხოვენ შეხვედრას, რათა სააკაშვილი შეიწყალოს. გადადგამს პრეზიდენტი ამ ნაბიჯს?

– არა მგონია, თანაც პრეზიდენტს ახლა შეუძლია შეიწყალოს იმ საქმეებზე, რომლებზეც განაჩენია გამოტანილი, მაგრამ ხელისუფლება სხვა მხრივაც მუშაობს. ახლა მიმდინარეობს სასამართლო პროცესები სხვა საქმეებზე, რომლებზეც განაჩენი გამოტანილი არ არის. ასე რომ, პრეზიდენტი შეწყალებაზე რომც ფიქრობდეს და ასეთი განწყობა ჰქონდეს, ეს თავისთავად არ ნიშნავს სააკაშვილის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სხვა საქმეებზე. ეს უნდა იყოს მთლიანად ხელისუფლების გადაწყვეტილება და არა მხოლოდ პრეზიდენტის, რათა პრეზიდენტ სააკაშვილის დევნა შეწყვიტონ, მაგრამ, ამას თავი რომ დავანებოთ, პრეზიდენტს ჰქონდა საკმაოდ ცალსახა და მკაფიო განცხადებები, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიწყალებს სააკაშვილს. არანაირი ნიშანი არ არის იმისა, რომ მას სურს გადაწყვეტილების შეცვლა.

– მაშინ, საით მივდივართ? 6 წელიწადს გაატარებინებენ ციხეში თუ სხვა სცენარი გველის?

– პრაქტიკულად, ეს არის ხელისუფლების ქმედებების არსი. ყოველ შემთხვევაში, არსაიდან ჩანს, რომ ასე არ იყოს. ამ ეტაპზე სააკაშვილის გამოშვება ციხიდან არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის გამოშვება. ხელისუფლებისთვის მისი გამოშვება იქნება რაღაცნაირად სისუსტის ჩვენება. ეს მისი მხარდამჭერების მხრიდან აღქმული იქნება სისუსტედ და იმად, რომ რადგან ხელისუფლებამ ეს დათმო, სხვა რამესაც დათმობს და საერთოდ წამსვლელია. თვითონ „ქართული ოცნება“ ასე ხედავს რეალობას, ამიტომ ის ამას არ გააკეთებს.

– იმას ვერ ხედავს, რომ ტვირთად აწევს სააკაშვილი?

– ტვირთად აწევს, რა თქმა უნდა, ეს ასეა, ამიტომ ერჩივნა, რომ არ ჩამოსულიყო, მაგრამ, რადგან ჩამოვიდა, თვლის, რომ ვერ მისცემს თავს უფლებას, გაათავისუფლოს. ერთადერთი, რაც შეიძლება თეორიულად ან ჰიპოთეტურად წარმოვიდგინოთ, ის არის, რომ მოხდეს ექსტრადიცია საზღვარგარეთ, მაგრამ ჯერჯერობით მე არაფერი გამიგია ამაზე. ეს, უბრალოდ, თეორიული შესაძლებლობაა.

– ამისთვის ჯერ ნიადაგი უნდა მომზადდეს?

– კი ბატონო, რა თქმა უნდა, ასეა.

კობა გვენეტაძე: „არ ვაპირებ გადადგომას“

– არ ვაპირებ გადადგომას.

ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ შესაბამის კითხვაზე უპასუხა.

რაც შეეხება ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, კობა გვენეტაძის თქმით, ამ საკითხზე მის პასუხისმგებლობას ვერ ხედავს.

– რაც შეეხება კითხვას ანაკლიასთან დაკავშირებით, არანაირი პასუხისმგებლობა არ მაქვს ამაზე და არანაირი როლი არ არის იმასთან დაკავშირებით, თუ ეს პროექტი არ განხორციელდა. ეს თქვენი შეფასებაა და უფლება გაქვთ თქვენი შეფასება გქონდეთ, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

დეპუტატმა ბადრი ჯაფარიძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიმართა, რომ ეროვნული ბანკი ძირითადი ამოცანის შესრულებას ვერ უმკლავდება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და უნდა გადადგეს.

ბადრი ჯაფარიძემ გვენეტაძეს ჰკითხა, როდის აპირებს ამ ნაბიჯის გადადგმას.

ანაკლიის პორტთან დაკავშირებული კითხვა კი ოპოზიციონერმა დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა დასვა.

მან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ჰკითხა:

– იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქვეყანაში ანაკლიის პორტი არ აშენდა?

ღარიბაშვილი ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებულ ფარმაცევტული ბაზრის შუალედურ ანგარიშზე და მასში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე. განიხილეს, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ვითარების დარეგულირების მიზნით.

აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია მედიკამენტების გაზრდილ ფასებზე დროული რეაგირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული და მაქსიმალურად დაცული იყოს მოსახლეობის ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ გათვალისწინებული იყოს ბიზნესის მოსაზრებებიც.

– ჩვენ დავასრულეთ შუალედური ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. მინდა, თქვენც გაგიზიაროთ ეს ხედვა, თქვენგან მოვისმინო რეკომენდაციები, თქვენი აზრი და ვიმსჯელოთ ამ თემაზე. რაც მთავარია, მინდა, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთოთ, ისე, რომ ჩვენი მოსახლეობის ინტერესები იყოს გათვალისწინებული, მაქსიმალურად დაცული, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვინდა, რომ ბიზნესის ინტერესებიც გავითვალისწინოთ. ჩვენ თუ ამ ბალანსს ვიპოვით, ეს იქნება იდეალური გამოსავალი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შეხვედრაზე საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ მთავრობის მეთაურს მადლობა გადაუხადა ბიზნესის მხარდაჭერისთვის, მნიშვნელოვანი და საინტერესო გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რამაც ძალიან ბევრი სიკეთე მოუტანა ქვეყანას.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე და ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ქედელიძე ესწრებოდნენ.

ივანე ჩხაიძე: „დეკემბერ-იანვარი პანდემიის მძიმე გამოცდა იქნება“

იმუნიზაციის მრჩეველთა ეროვნული ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის, ივანე ჩხაიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში „ომიკრონი“ გავრცელდება, გაიზრდება რეინფიცირების რიცხვიც.

„ომიკრონი“ სერიოზულ საფრთხედ უნდა განვიხილოთ. რამდენიმე დღის წინ, 6 ქვეყანაში იყო გავრცელებული და დღეს უკვე 52 ქვეყანაშია. ასე რომ, ძალიან სწრაფად იზრდება ინფიცირებისა და იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ინფიცირებაა. რაც შეეხება სხვა ტიპის საფრთხეებს, რა თქმა უნდა, ზამთარში, განსაკუთრებით, დეკემბერ-იანვარში რესპირაციული ინფექციების მატების პიკია, რაც საფრთხეს წარმოადგენს. იცით, რომ წინა კვირას გრიპის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა და, სავარაუდოდ, გრიპის შემთხვევებიც მოიმატებს და ესეც საფრთხეა. ჩვენ გვაქვს წინ ზამთრის პერიოდი და მოსალოდნელია რესპირაციული ინფექციების მატება.

გვაქვს გრიპის შემთხვევების მატების მოლოდინი და ასევე იმის მოლოდინი, რომ ქვეყანაში ალბათ დაფიქსირდება ახალი მუტაცია, რომელიც თავისთავად მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს. ამიტომ, ალბათ, დეკემბერ-იანვარი მთელი 2-წლიანი პანდემიის მიმდინარეობისას ქვეყანაში ყველაზე მძიმე და ყველაზე სერიოზული გამოცდა იქნება, ვინაიდან ასეთი რეალური საფრთხეები წინა ანალოგიურ პერიოდში ნამდვილად არ ყოფილა“, – განაცხადა ჩხაიძემ.

169.700 მომხმარებელს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაეზრდება

საზოგადოება და ბანკებმა ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2021 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 8.392 მლრდ ლარის მოცულობის სესხია გაცემული.

ამავე სტატისტიკით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული – 169.700 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. გამომდინარე იქიდან, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით 10.5-მდე გაიზარდა, 169.700 მომხმარებელს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაეზრდება.

„1-ლი ოქტომბრიდან 1-ელ ნოემბრამდე, ცვლად საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხების რაოდენობა გაზრდილია 6.200 ხელშეკრულებით, ხოლო მთლიანი პორტფელი 8.289 მლრდ-დან 8.392 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

169.700 ხელშეკრულებიდან 67.400 სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი – 1.072 მლრდ ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1 ნოემბრის მდგომარეობით 15.12% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1 ნოემბრის მონაცემებით, 64.900 სესხია მიბმული, საშუალოდ 12.37%-ში, მთლიანი პორტფელი კი 2.892 მლრდ ლარია.

33.500 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნესსესხების გასაცემად, რაც 1 ოქტომბერთან შედარებით 700-ით მეტია. მთლიანი პორტფელი 4.311 მლრდ ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 1.199 მლრდ ლარი გასცეს, საშუალოდ 14.57%-ში, ხოლო მსხვილი ბიზნესი 1-ლი ნოემბრის მონაცემებით 3.111 მლრდ ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 14.03%-ში.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1-ლი ნოემბრის მონაცემებით 700 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 16.9 მლნ ლარი ბანკებმა საშუალოდ 20.59%-ში გააესესხეს.

ასევე გაცემულია 3.100 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 89.4 მილიონი ლარია.

1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 41.6%-ია. მათ შორის ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი სამომხმარებლო სესხზე 26.32%-ია.

1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, გაზრდილია როგორც სასესხო პორტფელი, ისე ხელშეკრულებების რაოდენობა. შემცირებულია საპროცენტო განაკვეთი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე 13.44%-დან 10.9%-მდე.

„სააკაშვილი თან იმუქრება და თან შერიგების ინიციატივით გამოდის“

გიგა ბუკია: „კოალიციით მოსული „ქართული ოცნება“ ერთსუბიექტიან მმართველად გადაიქცა“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური სპექტრი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შეთანხმებული იყო იმაზე, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება პარტიული სისტემითა და 2%-იანი საარჩევნო ბარიერით. შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით პარლამენტში გავიდა. დღეს ეს საკითხი უკვე თაროზეა შემოდებული, ბარიერზე მსჯელობა კი ახლიდან იწყება. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– რას იტყვით საარჩევნო ბარიერის საკითხზე? ამაზე დისკუსია ახლიდან იწყება.

– მოხდა ის, რასაც ჩვენ, კონსერვატორები, ვპროგნოზირებდით. პირველი მოსმენით რომ მიიღო პარლამენტმა ეს ცვლილებები, მაშინ ეჭვი გვქონდა, რომ ეს შეიძლებოდა აღარ გაგრძელებულიყო და შეთანხმება არ ასახულიყო საკანონმდებლო დონეზე. ეს არის შუას გაკრეფის კიდევ ერთი მცდელობა.

– თუ საარჩევნო ზღურბლმა არ დაიწია, შუა ისევ ცარიელი დარჩება?

– შუა ისევ გაიკრიფება და დარჩება ორი მთავარი ძალა – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. სხვებს გაგვიჭირდება 5%-იანი ბარიერის დაძლევა. მათ გარდა, მაქსიმუმ, კიდევ ერთი შეძლებს ამ ბარიერის გადალახვას. ხომ ნახეთ, რა დონის დაპირისპირება იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. ადგილობრივი არჩევნებით ხელისუფლება არ იცვლება და ასეთი სიმწვავე იყო. წარმოიდგინეთ, რა ვაი-უშველებელი გველის საპარლამენტო არჩევნებზე! მაშინაც იქნება ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი მხარე – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ამ ძალებს აქვთ ყველანაირი რესურსი – ფინანსური, სატელევიზიო და ისინი ამ საშუალებებს მოხერხებულად იყენებენ ხალხზე ზეწოლის მოსახდენად. ბევრ პარტიას იმის რესურსიც კი წართმეული გვაქვს, რომ სათქმელი ამომრჩევლამდე მივიტანოთ.

– საარჩევნო დაპირისპირებაზე ამახვილებთ ყურადღებას. ადგილობრივი არჩევნები კარგა ხნის ჩავლილია, ბევრგან იკრიბება ახალი საკრებულოები, მტკიცდება ადგილობრივი მთავრობები, დაპირისპირებას კი ბოლო არ უჩანს.

– არჩევნებზე აწეული ტემპერატურის დაწევა ასეთი იოლი არ არის. გარდა ამისა, მუტტს სწევს სააკაშვილის ციხეში ყოფნა. საპარლამენტო არჩევნები კანონით 2024 წელს გვიწევს, თუმცა კრიზისები და შეცდომები იქნება, რასაც, შესაძლოა, არჩევნები მოჰყვეს. ეს შედის როგორც მმართველი პარტიის, ისევ ნაცმოძრაობის ინტერესში. რეალურ პრობლემებზე არც ერთი არ მსჯელობს. ოპოზიცია თუ ხარ, პრობლემების დაძლევაზე, გამოსავლის გზებზე უნდა ილაპარაკო, ხალხს უნდა აუხსნა, როგორ მოაგვარებ საკითხებს, თუ ხელისუფლებაში მოხვედი. ხელისუფლებას მით უმეტეს ავალია, მიხედოს პრობლემებს. ჩვენ ვხედავთ გაუთავებელ კინკლაობასა და ერთმანეთის ლანძღვა-გინებას. ერთმანეთს ისე უწოდებენ მოღალატესა და კორუმპირებულს, რომ წარბიც არ უტოკდებათ. ნათქვამზე პასუხს არავინ აგებს. არ გამოვრიცხავ, რომ 2022 ან 2023 წელს მმართველმა პარტიამ გადაწყვიტოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. ეს სახიფათოა, იმიტომ რომ, თუ არაფერი შეიცვალა, ეს არჩევნები გაიმართება არსებული სისტემით, ანუ შერეული მოდელითა და 5%-იანი ბარიერით. როცა „ოცნება“ ნაციონალებს რაღაცას წამოაძახებს, ავიწყდება, რა ხდებოდა ბოლო 9 წლის განმავლობაში.

– რა გაქვთ მხედველობაში? თავიდან თქვენც იყავით საპარლამენტო უმრავლესობაში.

– სწორედ იმას ვამბობდი, რომ როცა ჩვენ ვიყავით კოალიციაში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, უმრავლესობის შიგნით ვკამათობდით. მაშინაც ვეუბნებოდით მმართველ პარტიას, რომ ის ყველა დონეზე აძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას. მაშინ ამას შიდაშეკრებებზე ვაცხადებდით, ახლა ხმამაღლა ვსაუბრობ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ახალი სიცოცხლე მისცა ნაცმოძრაობას. კოალიციით მოსული „ქართული ოცნება“ თანდათან გადაიქცა ერთსუბიექტიან მმართველად, დაამყარა ერთპიროვნული მმართველობა. „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კოალიციაში მყოფი პარტიები გავმქრალიყავით.

– ძლიერად არ გამოიყურებით, თორემ გამქრალები არა ხართ.

– შემიძლია ჩამოვთვალო. ჩვენი ანუ კონსერვატორების გარდა, მძიმე დღეში აღმოჩნდნენ რესპუბლიკელები, „ეროვნული ფორუმი“, მწვანეთა პარტია, სოციალ-დემოკრატები და „მრეწველები“. ამ დროს გაძლიერდნენ ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები. ოპოზიციაში ყოფნისას ძლიერი პარტია ვიყავით, ახლა, ფაქტობრივად, რესურსების გარეშე დავრჩით.

– მთავარი პრობლემები რომელია დღეს?

– ის პრობლემები, რომლებსაც ყურადღებას არ აქცევენ ეს მთავარი ძალები, არის უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, უკიდურესად გაზრდილი ფასები ყველაფერზე ძმიმე კოვიდსიტუაციის ფონზე. არის სხვა პრობლემებიც. უმთავრესზე გავამახვილე ყურადღება.

– ბარიერს რომ დავუბრუნდეთ, თქვენი მოსაზრებით, როგორი უნდა იყოს საარჩევნო ბარიერი?

– ოპტიმალური იქნებოდა ბარიერი 2-დან 3%-მდე. შუას გაკრეფის პირობებში პარტიების უმრავლესობა 5%-იან ბაერიერს ვერ გადალახავს. „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც მაღალი ბარიერი აწყობთ. კოალიცია და მრავალპარტიულობა არც ერთის ინტერესში არ შედის.

– სააკაშვილის მოწოდებას ეროვნული თანხმობის თაობაზე ბევრი მკვახე პასუხი მოჰყვა. თქვენ რას იტყვით?

– სიტყვით შეიძლება ყველაფერი თქვა. ვატყობ, რომ ეროვნული თანხმობის, შერიგების იდეის დისკრედიტაცია ხდება. ეროვნული თანხმობა თუ უნდოდა, სააკაშვილი სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. 2013 წელს დასრულდა მისი პრეზიდენტობა. მანამდე ხალხმა ყარი უთხრა ნაციონალურ მოძრაობას. 2013 წელს უნდა აეღო ტაიმაუტი, მადლობები და ბოდიშები მაშინ უნდა მოეხადა. ეს რომ გაეკეთებინა, რევანშზე არ ეფიქრა, სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. როცა რევანშიზმით ხარ შეპყრობილი, შერიგებასა და თანხმობაზე ლაპარაკი უხერხულია. ეგ იგივეა, მგელმა რომ ცხვრებს უთხრას, შევრიგდეთო. სააკაშვილი ზნეს არ იცვლის და ამ დროს ეროვნული თანხმობის იდეით გამოდის.

– სასამართლოში მისი გამოსვლებიდან ეს შთაბეჭდილება შეგექმნათ?

– სააკაშვილი თან იმუქრება და თან შერიგების ინიციატივით გამოდის. ეს ორი რამ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამას ხალხი ხედავს. სააკაშვილის დაპირებებისა და მოწოდებებისა მოსახლეობის უმრავლესობას არ სჯერა. ეს კაცი პატიმარია და ამაზე მკვეთრ განცხადებებს მოვერიდები.

„ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან დიდია იმედგაცრუება“

რამაზ საყვარელიძე: „როდესაც ოპოზიცია აცხადებს, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, რადგან ასე გვინდა ჩვენო, ეს არის პოლიტიკური კრიზისი?“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, რამდენად მოსალოდნელია, რომ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა პოზიცია შეცვალოს? მას ერთგვარი ულტიმატუმიც კი წაუყენეს.

– სალომე ზურაბიშვილის პოზიცია ამ საკითხზე ცნობილია. რამდენჯერ ღიად და დაუფარავად გვითხრა – არასოდეს! ამ აქციების მიზანია, პოზიცია შეაცვლევინონ, აიძულონ, რომ გადახედოს თავის ნათქვამს, მაგრამ ხალხის მცირე რაოდენობით ეს შეუძლებელია. თუკი ამ მოთხოვნით ხალხის ძალიან დიდი რაოდენობა გამოვიდა ქუჩებში და ყველაფერი გაჩერდა, ერთი სიტყვით, მთელი ქვეყანა ჩაითრია, მაშინ შეიძლება პრეზიდენტმა გადაწყვეტილება შეცვალოს, თუმცა კამერული საპროტესტო აქციებით, არა მგონია, ასეთი რამ შესაძლებელი იყოს და მათ შედეგი მიიღონ. შედეგიანი არ შეიძლება იყოს ასეთი აქციები იმ მოთხოვნით, რომ სააკაშვილი გათავისუფლდეს.

– სააკაშვილი აცხადებს, რომ ის მზად არის შერიგებისთვის, რომ ახალი ფურცლიდან დაიწყოს ისტორია. მის ამ ინიციატივას „ქართული ოცნების“ დეპუტატები უარყოფითად გამოეხმაურნენ. რამდენად შეიძლება, ეს ნაბიჯი რეალური იყოს არსებული პოლიტიკის გათვალისწინებით?

– სააკაშვილს შერიგება უნდა ისე, რომ არც მოინანიოს და დანაშაულიც შერჩეს სასჯელის გარეშე. სინანულიც არ ათავისუფლებს დამნაშავეს სასჯელისგან. ამ საკითხზე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია თავად „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის განწყობა. მე ვფიქრობ, ხელისუფლებას არ ექნება არგუმენტი თავისივე ამომრჩეველთან, თუ რატომ წავიდა ის ამ ნაბიჯზე, რატომ დაივიწყა დანაშაულები, რომლებიც ნამდვილად მოხდა ამ ქვეყანაში და ამას ადამიანების სიცოცხლე შეეწირა. აღარაფერს ვამბობ ბიზნესწილების გადაფორმებებზე, უკანონო ჩამორთმევებზე და ა.შ. ამ საქმეებს ხომ ჰყავს კონკრეტული დაზარალებულები. ამ ადამიანებს რას ეტყვის „ქართული ოცნება“?! ეს არის ის ვალდებულება და ტვირთი, რომელიც ამ ხალხის, ამ ამომრჩევლის წინაშე აქვს სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულ ხელისუფლებას.

– როდესაც სააკაშვილი საყოველთაო პოლიტიკურ ამნისტიაზე ლაპარაკობს, შეიძლება, ეს ერთგვარი გზავნილია ამ ხელისუფლებისთვისაც, როდესაც მას ვადა ამოეწურება.

– ჩაიდინეთ დანაშაული – ამნისტირებული იქნებით. ეს არის გზავნილი. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, სარკოზის, მაგალითი მახსენდება, რომელიც დღესაც შინაპატიმრობაში იმყოფება.

– თუმცა სასამართლო სტანდარტი რამდენად შეიძლება იყოს არგუმენტი?

– დანაშაული არის დანაშაული, როდესაც არიან დაზარალებულები. „ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან დიდია იმედგაცრუება. ამომრჩევლის 50% სახლში რჩება, არჩევნებზე არ მიდის. ვფიქრობ, ამ იმედგაცრუებაში უმრავლესობა არის ის, ვინც ელოდა სამართლიანობის აღდგენას და არა ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობის გადმობარებას სასამართლოსა თუ სხვა მიმართულებით. ამ ფონზე, ხომ წარმოგიდგენიათ, რას გამოიწვევს სააკაშვილის ან შეწყალება, ან უკრაინისთვის გადაცემა, მისი პატიმრობისთვის თავის არიდება?!

– საერთოდ დაკარგავს ამომრჩეველს?

– დიახ, რასაკვირველია. ეს შეიძლება ძალიან სარისკო ნაბიჯი იყოს „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური თვალსაზრისით. ასე მარტივად არ დგას საკითხი, როდესაც საქმე ეხება ამომრჩეველს. ძალიან მნიშვნელოვანია, ამომრჩევლის შენარჩუნების, მომატებისა თუ, პირიქით, დაკლების თვალსაზრისით რა ნაბიჯებს გადადგამს „ოცნება“. ნებისმიერი პარტია და, რა თქმა უნდა, მათ შორის „ქართული ოცნებაც“ უნდა ცდილობდეს ამომრჩევლის გაზრდას და არა პირიქით, მის გაბრაზებას, განაწყენებასა და იმედგაცრუებას. ამიტომ ვამბობ, რომ „ოცნებას“ შეიძლება უნდა კიდეც სააკაშვილის თავიდან მოცილება, მაგალითად, გადასცეს უკრაინას და ამით დაამთავროს ყველაფერი, მაგრამ, შეიძლება, საკუთარი ამომრჩეველის ტყვე იყოს და ეს ნაბიჯი ვერ გადადგას.

– პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა?

– და სად არის პოლიტიკური კრიზისი?! რომელ პოლიტიკურ კრიზისზეა საუბარი, როდესაც ოპოზიცია აცხადებს, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, რადგან ასე გვინდა ჩვენო. ეს არ არის კრიზისი.

პრემიერ-მინისტრი წითელი ჯვრის ფედერაციის გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს ჯაგან ჩაპაგაინს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი საქართველოს მთავრობასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას შორის ეფექტურ თანამშრომლობას შეეხო.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა მიესალმება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების გადაწყვეტილებას, საქართველოში, კერძოდ, ქალაქ რუსთავში, რეგიონული მნიშვნელობის ლოგისტიკური ჰაბის მშენებლობის შესახებ, რაც, როგორც საწყობების სისტემას, ისე ტრენინგების ცენტრს მოიცავს.

მთავრობის მეთაურმა გენერალურ მდივანს COVID-19-ით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციის მიერ გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. გამოითქვა ორმხრივი მზადყოფნა თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილი სირთულეები. ხაზი გაესვა საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების მნიშვნელობას და ადგილზე ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ურყევად ახორციელებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას. ამ კონტექსტში აღინიშნა „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია“, ასევე სამშვიდობო ინიციატივა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და კონფლიქტით დაშორებულ თემებს შორის ნდობის აღდგენას ისახავს მიზნად.

შეხვედრას საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტი ნათია ლოლაძე ესწრებოდა.

სერგეენკო უვადო მწვანე სტატუსს არ ემხრობა

პარლამენტის ვიცეს-პიკერი და საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი დავით სერგეენკო უვადო მწვანე სტატუსის მინიჭებას არ ემხრობა და აცხადებს, რომ ამას თავისი დასაბუთება აქვს:

„არ მინდა, ღრმა მსჯელობაში შევიდე, მაგრამ გეტყვით, რომ არ ვემხრობი. ვირუსს ახასიათებს ცვლილება, რამდენიმე თვეში ერთხელ ბუნებას იცვლის და შეიძლება გადამდები გახდეს. ვაქცინაცია გადადების რისკს ანახევრებს, 30-ჯერ ამცირებს მძიმე მიმდინარეობის რისკს. აქამდე ახალი შტამების აღმოჩენა იფარებოდა არსებული ვირუსებით, თუმცა ახალი მიმდინარეობის არ ვიცით, იმედია, მასაც დაფარავს.

მოცემულობაა, რომ გადატანილი კოვიდინფექცია არ არის მაღალი ალბათობის გარანტია, რომ ისევ არ დაგემართება კოვიდი. ამიტომ უვადო მწვანე პასპორტის მიცემა ეწინააღმდეგება სპეციალისტების მოსაზრებას, რომლებიც ამბობენ, რომ 5-6 თვის განმავლობაში გრძელდება ეს. არ ვიცი, არგუმენტების რა ერთობლიობა იყო, რის გამოც მიიღეს გადაწყვეტილება. არ ვარ საკოორდინაციოს წევრი და არ ვიცი, რა მსჯელობა იყო“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

პროკურორი გუბელაძე: „გვარამიას, დამენიასა და იაშვილისთვის გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი მაქვს“

ადვოკატი საძაგლიშვილი: „რუსთავი 2 ყველაზე წარმატებული ნიკა გვარამიას დროს იყო“

პროკურატურას „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

აღნიშნულის შესახებ პროკურორმა ზვიად გუბელაძემ გუშინ, 8 დეკემბერს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე განაცხადა.

გუშინვე სახელმწიფო ბრალდებამ საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა.

– გასული სასამართლო სხდომის დროსაც განვაცხადეთ, რომ ჩვენი მტკიცებულებების გამოკვლევას ვასრულებთ, დავკითხეთ მოწმეები, გამოვიკვლიეთ წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს სამივე ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რაც მათ ბრალად აქვთ წარდგენილი. შესაბამისად, გონივრული მოლოდინი გვაქვს, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, – განაცხადა გუბელაძემ.

კომენტარი ნიკა გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმაც გააკეთა.

– სასაცილოა პროკურორის შეფასება, გულწრფელად მეცინება, ყველა მტკიცებულება კი არა, არც ერთი მტკიცებულება არ ყოფილა გამოკვლეული სასამართლოს სხდომათა დარბაზში, რაც დაადასტურებდა რომელიმე პირის ბრალეულობას, – განაცხადა მან.

დიმიტრი საძაგლიშვილის თქმით, „რუსთავი 2“ ყველაზე წარმატებული ნიკა გვარამიას დირექტორობისას იყო.

– არც ერთ მოწმეს არ უთქვამს სასამართლოს სხდომაზე ისეთი რამ, რაც შეიძლება ბრალდებას ადასტურებდეს. პირიქით, თითოეული მათგანის ჩვენება გამორიცხავდა დანაშაულის ჩადენას და ჩვენ ირონიულად ყოველთვის ვაკეთებდით კომენტარს, ნამდვილად ბრალდების მოწმე იყო თუ არა მოსული სასამართლოს სხდომათა დარბაზში. მგონია, რომ პაატა სალიას ჩვენებით არ მოხდება დადასტურება წარდგენილი ბრალდების, პირიქით, დადასტურდება რომ „რუსთავი 2“ ყველაზე წარმატებული ნიკა გვარამიას გენერალური დირექტორობის პერიოდში იყო. ეს აისახებოდა როგორც სატელევიზიო რეიტინგებში, ასევე სარეკლამო შემოსავლებზე, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

შეგახსენებთ, გენერალურმა პროკურატურამ გასული წლის 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს წაუყენა. ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში ედავება, რაც ჩადენილ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე. რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება. იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

„112“-ს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის „112“-ის სასწავლო ცენტრს მიენიჭა უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა – „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“.

პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შემდგომ, მსმენელები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებენ.

სასწავლო ცენტრს შესაძლებლობა აქვს, ქოლ-ცენტრის ოპერატორების გადამზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი 2015 წელს ჩამოყალიბდა. ცენტრი მუდმივად ზრუნავს „112“-ის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე, ამ მიმართულებით მომსახურებას უწევს მომიჯნავე სამსახურებსა და სხვა ორგანიზაციებს.

ვახტანგ გომელაური სომხეთის პოლიციის უფროსს მასპინძლობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი ვაჰე ღაზარიანი დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ვაჰე ღაზარიანთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. სტუმრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში მდებარე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

სომხეთის პოლიციის დელეგაციის წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებს გაეცნნენ. შეხვედრის მონაწილეებმა სამომავლო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე შეთანხმდნენ.

საქართველოს მხრიდან შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები: გიორგი ბუთხუზი, იოსებ ჭელიძე და ალექსანდრე დარახველიძე, ასევე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები, ხოლო სომხეთის დელეგაციის მხრიდან: პოლიციის უფროსის მოადგილეები, ერევნის პოლიციის უფროსი და სხვა დანაყოფის უფროსები დაესწრნენ.

სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, შსს-ს აკადემიას ესტუმრებიან და მათი მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნობიან.

„რუსთავი 2“ კვლავ ქიბარ ხალვაშს დარჩა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2“ კვლავ ამჟამინდელ მესაკუთრეს ქიბარ ხალვაშს დარჩა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ მოსარჩელე მხარის – დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის სამოქალაქო სარჩელი არ დააკმაყოფილა.

„რუსთავი 2“-ის 60%-იანი წილის დაბრუნებაზე სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ დაახლოებით 2 წლის წინ შეიტანეს. აღნიშნულ დავაში მოპასუხე მხარე ქიბარ ხალვაში იყო.

მოსამართლე გოჩა დიდავას გადაწყვეტილებით, ყადაღა მოეხსნა „რუსთავი 2“-ს. ასევე, აღნიშნული გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2“-ს ქონების გაყიდვის უფლება მიეცა.

ალექსანდრე დარახველიძე გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრას დაესწრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმის შემუშავების შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში კაორი იშიკავამ გახსნეს.

ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა შინაგან საქმეთა სამინისტროში გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მიმართულების გაძლიერებასა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების, როგორც თანაბარი შესაძლებლობებისა და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნის მნიშვნელობას.

მინისტრის მოადგილემ ისაუბრა უკანასკნელ წლებში უწყების მიერ გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლის კვალდაკვალ, სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების საპასუხოდ და სისტემაში ეფექტიანი გენდერული პოლიტიკის გასატარებლად, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმის დანერგვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სამუშაო შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ არის მხარდაჭერილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16-დღიან გლობალურ კამპანიას და კიდევ ერთხელ გმობს მათ მიმართ ძალადობის ნებისმიერ ფორმას, რაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ქალების სრული თანასწორუფლებიანობის მიღწევისათვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სომხეთის პოლიციის უფროსს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, პოლიციის გენერალ-მაიორ ვაჰე ღაზარიანს შეხვდა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობაზე. აღინიშნა საქართველოსა და სომხეთის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა, ასევე, პარტნიორობა ტრანსნაციონალური დანაშაულისა და უსაფრთხოების სხვა გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

შეხვედრისას, საუბარი შეეხო საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმატებულ მედიაციას, რომლის შედეგადაც, სომხეთის 15 მოქალაქე გათავისუფლდა, ხოლო აზერბაიჯანს დანაღმული ტერიტორიების შესახებ მნიშვნელოვანი რუკები გადაეცა. მთავრობის მეთაურმა გამოთქვა მზაობა შემდგომი აქტიური თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს დიალოგს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საუბრისას ასევე ხაზი გაესვა ხალხთა შორის არსებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხანგრძლივ ისტორიას და პარტნიორობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივებს.

ჯაბა ჯანგირაშვილი: „ზვიადაურს რომ არ ესროლა, არც მე ვიქნებოდი ცოცხალი და არც ის“

ზურაბ ზვიადაურის სასამართლოდან გირაოთი გამოშვების შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა ჯაბა ჯანგირაშვილმა. მან ზვიადაური გაამართლა და თქვა, რომ რომ არა მისი რეაგირება, ბევრი ადამიანი დაიღუპებოდა.

ჯანგირაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონთან ერთად იყო დაკავებული. ის თელავის რაიონულმა სასამართლომ 5.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა. მას გამოძიება იარაღის დაუდევრად შენახვას ედავება.

– პირველი კონფლიქტი რომ მოხდა, ადგილზე არც ზურაბ ზვიადაური და არც ვასილ ცოცხალაშვილი არ ყოფილან. კონფლიქტი ჩემი პირადუღი იყო. სამშენებლო მასალებზე დაიწყო. და ზვიადაურები არც წილში არიან. ეს ჩხუბი რომ გაგრძელდა, ზურა შემთხვევით მოვიდა. რადგან მე დამირეკა და მითხრა, ზვიადს ვურეკავ და არ მპასუხობს, სად ხართო. გამარჯობაც არ ჰქონდა ნათქვამი, კონფლიქტი რომ დაიწყო. მე უსამართლოდ ვიცემე და ზურას რომ ეგ რეაგირება არ მოეხდინა, არც მე ვიდგებოდი ახლა აქ. არც ზურა იქნებოდა ცოცხალი და ბევრი ადამიანი დაიღუპებოდა, – განაცხადა ჯანგირაშვილმა.

ბრალდებულის თქმით, ჯერ არ დასრულებულა ექსპერტიზა, რომელმაც უნდა გაარკვიოს, მისი იარაღიდან განახორციელა თუ არა გასროლა ზურაბ ზვიადაურმა, რის შედეგადაც, ადგილზე დაიღუპა საქმის მონაწილე ნიკა კენჭოშვილი.

– შეიარაღებულები არ ვიყავით. იარაღი კონფლიქტის გამო არ გვქონდა. მე მქონდა გაფორმებული, ტარების უფლებით და მედო მანქანაში. სავარაუდოდ, ჩემი იარაღიდან არ ყოფილა გასროლა. ამას ექსპერტიზა დაადგენს. ცოცხალაშვილმა ჰაერში ისროლა გაფრთხილების მიზნით, არ იჩხუბოთო. ამის შემდეგ, კენჭოშვილმა დამიზნებით ისროლა. იქიდან ვიღაცამ დაიძახა, ვინც პირველ ჩხუბში იყავით, ცალკე გადმოდით, ბევრი სისხლი არ დაიღვაროსო. სროლა იყო დამიზნებით. ამიტომაც, ზურას რომ არ ესროლა, შეიძლება ათზე მეტი ადამიანი დაღუპულიყო, – თქვა ჯანგირაშვილმა.

7 დეკემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში სხდომა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის საკითხით გაიხსნა. პროცესს მკვლელობაში ბრალდებული ზურაბ ზვიადაურიც ესწრებოდა. მას კომენტარი არ გაუკეთებია.

მკვლელობა აგვისტოში წინანდალში მოხდა. ორმხრივი სროლისას დაიღუპა 3 და დაიჭრა 2 პირი. ერთ-ერთი მოკლული ზურაბ ზვიადაურის ძმა ზვიად ზვიადაურია.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ოლიმპიური ჩემპიონი 50.000-ლარიანი გირაოთია გათავისუფლებული.

შემდეგი სასამართლო სხდომა 21 იანვარს ჩაინიშნა.

პენიტენციარული სამსახური: „სააკაშვილის მიმართ არ არის გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება“

სპეციალური პენიტენციარული სამსახური საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

პენიტენციარული სამსახური სააკაშვილის ბრალდებებს ცრუს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მიმართ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებას რაიმე სახის კავშირი არ აქვს სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებასთან.

განცხადების თანახმად, გავრცელებული ინფორმაცია სააკაშვილისთვის შეხვედრების შეზღუდვასთან და ტელევიზორის ჩამორთმევასთან დაკავშირებით არის სიცრუე.

„სპეციალური პენიტენციარული სამსახური ეხმაურება მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებულ ცრუ ბრალდებებს და აღნიშნავს, რომ №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მიერ მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებას რაიმე სახის კავშირი არ აქვს სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებასთან.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მსჯავრდებულთან ვიზიტი განპირობებული იყო მისთვის უფლება-მოვალეობების ოქმის გაცნობის მიზნით, რაზეც მან უარი განაცხადა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების მოსამსახურეებს. ამ დროისთვის მიხეილ სააკაშვილის მიმართ არ არის გამოყენებული რაიმე სახის დისციპლინური ღონისძიება მის მიერ ჩადენილი დარღვევის გამო, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია მისთვის შეხვედრების შეზღუდვასთან და ტელევიზორის ჩამორთმევასთან დაკავშირებით არის სიცრუე და ემსახურება საზოგადოებაში უწყების იმიჯის შელახვას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, №18 დაწესებულების დირექტორის მიერ დისციპლინური წარმოება დაწყებულია 2021 წლის 29 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც გაირკვა (ექსპერტიზის დასკვნით) მსჯავრდებულის მიერ დაზიანებული ნივთის ღირებულება 150 ლარზე ნაკლები იყო. ეს ქმედება არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და სახეზე იყო პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ, მსჯავრდებულმა დააზიანა მის პალატაში განთავსებული კარდიომონიტორი. ამ ეტაპზე მსჯავრდებული შეუფერხებლად სარგებლობს როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე მკურნალ ექიმთან შეხვედრის უფლებით. სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მხრიდან რაიმე სახის შეზღუდვას მსჯავრდებულის რომელიმე უფლების რეალიზების კუთხით ადგილი არ ჰქონია.

სპეციალური პენიტენციარული სამსახური მოუწოდებს მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს, თავი შეიკავოს სამსახურისა და მისი მოსამსახურეების მიმართ ცრუ და დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელებისგან“, – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში ბაიდენი პუტინს სერიოზული სანქციებით დაემუქრა

7 დეკემბერს ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის ვიდეოკონფერენციის შესახებ თეთრმა სახლმა განცხადება გაავრცელა.

„ჯო ბაიდენმა გამოთქვა შეერთებული შტატებისა და ევროპელი მოკავშირეების ღრმა შეშფოთება უკრაინის გარშემო რუსეთის ძალების ესკალაციის გამო და ნათლად განაცხადა, რომ აშშ და მისი პარტნიორები უპასუხებენ ძლიერი ეკონომიკური და სხვა ზომებით სამხედრო ესკალაციის შემთხვევაში", – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ბაიდენმა ასევე „გაიმეორა მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და მოუწოდა რუსეთს დეესკალაციისა და დიპლომატიისკენ".

– ბაიდენმა პუტინს უთხრა, მზად ვართ, გავაკეთოთ ის, რაც არ გაგვიკეთებია 2014 წელსო.

ამის შესახებ ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადა.

– მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, პირდაპირ უთხრა პრეზიდენტ პუტინს, რომ თუ რუსეთი კვლავ შეიჭრება უკრაინაში, შეერთებული შტატები და ჩვენი ევროპელი მოკავშირეები უპასუხებენ ძლიერი ეკონომიკური ზომებით. უკრაინელებს მივაწვდით დამატებით თავდაცვით მასალას და დამატებითი შესაძლებლობებით გავაძლიერებთ ნატოს მოკავშირეებს აღმოსავლეთ ფლანგზე ასეთი ესკალაციის საპასუხოდ, – აღნიშნა სალივანმა.

კრემლის ინფორმაციით, პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი სერიოზულად არის დაინტერესებული უსაფრთხოების იურიდიულად დაფიქსირებული საიმედო გარანტიების მიღებით, რაც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას გამორიცხავს.

კრემლის განცხადებით, ბაიდენმა ხაზი გაუსვა უკრაინის საზღვრებთან რუსული ჯარების გადაადგილების „სავარაუდო სახიფათო" ხასიათს და გამოკვეთა დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესაძლებლობა სიტუაციის შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში.

„საპასუხოდ, ვლადიმირ პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა არ უნდა გადაიტანონ რუსეთის მხრებზე, რადგან სწორედ ნატო ახორციელებს სახიფათო მცდელობებს უკრაინის ტერიტორიის ასათვისებლად და ჩვენს საზღვრებზე თავის სამხედრო პოტენციალს აძლიერებს", – აღნიშნულია კრემლის განცხადებაში.

ცსს-ის დირექტორი ბიორნსი პუტინ– ბაიდენის შეხვედრას დადებითად აფასებს, მაგრამ თვლის, რომ სწრაფი შედეგების მიღწევა ვერ მოხერხდა, რაც კანონზომიერია. რუსეთის პრეზიდენტმა გარკვეულწილად უკან დაიხია. მართალია, პუტინმა კვლავ მოითხოვა ამერიკელებისაგან, რომ ნატოს გაფართოების წინააღმდეგ წერილობითი გარანტიები მიეცათ, მაგრამ ბაიდენის „არასაც" უდრტვინველად შეეგუა.

პუტინი იმასაც მოთმინებით მოეკიდა, რომ ბაიდენი უკრაინაში შეჭრის სანაცვლოდ ახალი სანქციებით დაიმუქრა.

ბუნდესტაგმა ოლაფ შოლცი გერმანიის კანცლერად აირჩია

გერმანელმა კანონმდებლებმა ქვეყნის კანცლერად ოლაფ შოლცი აირჩიეს. ბუნდესტაგში ფარული კენჭისყრა დებატების გარეშე გაიმართა. მასში მონაწილეობა 707-მა დეპუტატმა მიიღო და ოლაფ შოლცს მხარი 395-მა დაუჭირა.

შოლცის სასარგებლოდ ხმა ახალი კოალიციის, „შუქნიშნის" ყველა წევრმა არ მისცა, რადგან, ასე რომ ყოფილიყო, ახალი კანცლერი 416 ხმას მიიღებდა.

ოლაფ შოლცის პარტია „სოციალ-დემოკრატებმა" სექტემბერში ჩატარებულ არჩევნებში ყველაზე დიდი მხარდაჭერა მოიპოვა და, იმ დროიდან მოყოლებული, კოალიციის შექმნის მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდა „მწვანეებთან" და „თავისუფალ დემოკრატებთან".

სამმა პარტიამ კოალიციის შექმნაზე შეთანხმება ოფიციალურად 7 დეკემბერს გააფორმა.

ისრაელში კოვიდზე მე-4 დოზითაც აცრიან

ისრაელის ჯანდაცვის მინისტრმა ნიცან ჰოროვიცმა განაცხადა, რომ ისრაელმა ყველა მოქალაქეს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მეოთხე დოზა შეიძლება შესთავაზოს.

– თუ დავინახავთ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ვაქცინის ეფექტურობა მცირდება, თუნდაც გამაძლიერებელი დოზის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია, მეოთხე დოზა განვიხილოთ. ეს შესაძლებელია, – აღნიშნა ისრაელის ჯანდაცვის მინისტრმა.

ნიცან ჰოროვიცის თქმით, ისრაელის ჯანდაცვის უწყება შესაბამის გადაწყვეტილებას სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე მიიღებს.

– ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ გამაძლიერებელი დოზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სწორი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილიანობა უფრო დიდი იქნებოდა, – განაცხადა ისრაელის ჯანდაცვის მინისტრმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გოგონა 20 წელი ცხვირში გაჭედილი მძივით დადიოდა

ტიკტოკის მომხმარებელმა, სახელად ჰანამ, გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ისაუბრა იმის თაობაზე, რომ თურმე 20 წელზე მეტი სნის განმავლობაში ცხვირით მძივს დაატარებდა.

ჰანამ აღიარა, რომ მას ბავშვობის უცნაური მოგონება ჰქონდა, თუ როგორ შეიტენა მძივი ცხვირის ნესტოში, თუმცა ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ მას შემდეგ მძივი ცხვირიდან გამოუვარდა.

– იცით ის მოგონებები ადრეული ბავშვობიდან, როდესაც სამიდან ხუთ წლამდე ასაკის იყავით? დარწმუნებული არ ხართ, ის სინამდვილეა, ტელევიზორში ნანახი თუ, უბრალოდ, მშობლებმა გიამბეს. მის სინამდვილეში დარწმუნებული არ ხართ, თუმცა ბუნდოვნად გახსოვთ. როდესაც სამი წლის ვიყავი, მახსოვს, როგორ შევიტენე ცხვირის ნესტოში მძივი და ის იქ გაიჭედა, – ყვება ჰანა.

გოგონამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაშინ არავისთვის მოუყოლია მომხდარის შესახებ და მალე საერთოდ გადაავიწყდა. მცირე ხნის წინ გოგონას ცხვირში პრობლემები დაეწყო, იგრძნო, რომ ცხვირის მარჯვენა მხარე მთლიანად ჩაეკეტა. ჰანა ვერაფრით ახერხებდა ცხვირის გამოწმენდას და ტკივილს განიცდიდა. მან სამედიცინო კამერით ისარგებლა ნესტოს გამოსაკვლევად და მასში ცისფერი მძივი აღმოაჩინა.

– ბოლოს და ბოლოს, ის გამოვიღე ნესტოდან. ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ ცისფერი მძივი, რომელმაც 20 წელი გაატარა ჩემს ცხვირში, გამოღებულია, – ხაზგასმით აღნიშნა ჰანამ.

ტიკტოკში გამოქვეყნებულმა მისმა ვიდეომ 10 მილიონი ნახვა, 1,8 მილიონი მოწონება და 24 ათასი კომენტარი მიიღო.

დედოფალმა ელისაბედ II-მ ხელისუფლების პრინც ჩარლზისთვის გადაცემა დაიწყო

ისტორიკოსი ედ ოუენსი, რომელიც ბრიტანეთის მონარქიის შესწავლითაა დაკავებული, თვლის, რომ პრინც ჩარლზისთვის ხელისუფლების გადაბარების პროცესი დაწყებულია.

– დედოფლის გარდაცვალება სამეფო ოჯახში კრიზისს არ გამოიწვევს, – აცხადებს ოუენსი, – ხელისუფლების სიმბოლური გადაცემა ჩარლზისთვის უკვე მიმდინარეობს.

მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს პრინცი სულ უფრო ხშირად ცვლის დედას სხვადასხვა ღონისძიებაზე და საკუთარ თავზე აიღო ტიტულების მინიჭება, რომლითაც ადრე ელისაბედ II იყო დაკავებული.

აღნიშნული კომენტარების საფუძვლად იქცა 95 წლის დედოფლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ოქტომბრის ბოლოს ექიმებმა მას საზოგადოებრივი ღონისძიებებისგან დასვენება ურჩიეს. ამის შემდეგ მან გააუქმა ვიზიტი ჩრდილოეთ ირლანდიაში, უარი თქვა გლაზგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატურ კონფერენციაზე დასწრებაზე და საავადმყოფოში დაწვა გამოკვლევის ჩასატარებლად.

გოგონამ ზვიგენის თავდასხმისგან თავიც გადაირჩინა და მეგობარიც იხსნა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მცხოვრებმა გოგონამ მოახერხა, მოეგერიებინა ზვიგენის თავდასხმა, რომელმაც მას და მის მეგობარს ოშენ გროვის პლაჟზე უკბინა.

თვითმხილველების თქმით, ბანაობისას მათ ორი მოზარდის ყვირილი გაიგონეს. ამის შემდეგ დაინახეს, თუ როგორ ურტყამდა 15 წლის გოგონა ზვიგენს, რომელიც მას და მის მეგობარს თავს დაესხა. მან მტაცებელი თევზი გააგდო, რითაც თავიც გადაირჩინა და მეგობარიც იხსნა.

– თავიდან ვიფიქრეთ, რომ ისინი უბრალოდ თამაშობდნენ, შემდეგ კი ატეხეს ყვირილი, რომ მათ ზვიგენმა უკბინა, – განაცხადა მომხდარის ერთ-ერთმა თვითმხილველმა პიტერ ჰობსმა.

ეს ყოველივე ასევე დაინახა ტრავმატოლოგიის განყოფილების ყოფილმა მედდამ დიანა ჰობსმაც. მან დაშავებულებს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე ექიმების მისვლამდე აღმოუჩინა. პლაჟზე მისულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ მოზარდები საავადმყოფოში გადაიყვანა. ორივეს მდგომარეობა სტაბილურად ფასდება.

სამართალი

ოზურგეთში ლუკოილიდან 550 ლარი გაიტაცეს

1 პირი დააკავეს

ყაჩაღობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი, 1968 წელს დაბადებული გ.ლ. დააკავეს, – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.ლ. ქალაქ ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე კომპანია „ლუკოილის" ავტოგასამართ სადგურში ყაჩაღურად თავს დაესხა ოპერატორს, რომელსაც იარაღის მუქარით გასტაცა ფული – 550 ლარის ოდენობით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავა", – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მეგობარმა გოგონა ნიანგისგან იხსნა

მეგობარმა ინგლისელი აბიტურიენტი გოგონა ზამბიაში მოგზაურობის დროს ნიანგის თავდასხმისგან იხსნა.

18 წლის ამელი ოსბორნ-სმიტი ზამბიაში სამოგზაუროდ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების წინ გაემგზავრა. ის ადგილობრივი ტურისტული კომპანიიდან მდინარე ზამბეზზე გიდებთან ერთად მოგზაურობდა. მოგზაურობის ორგანიზატორები ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი უსაფრთხოდ ჩაივლიდა, ვინაიდან ნიანგები ადამიანებს იშვიათად ესხმიან თავს.

როდესაც ტურისტი გოგონა ნავის ნაპირთან იჯდა, მას სამმეტრიანი ნიანგი დაესხა თავს. რეპტილიამ გოგონას ფეხზე უკბინა. ამ დროს ამელის მეგობარი წყალში გადახტა და ნიანგს დაარტყა. ამის შედეგად რეპტილიამ ყბები გახსნა და გოგონას ფეხს კბილები გაუშვა. დაშავებული შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ქირურგიული ოპერაცია გაუკეთდა.

გოგონას მამამ, 60 წლის ბრენტ ოსბორნ-სმიტმა განაცხადა, რომ ამჟამად მისი ქალიშვილი მძიმე მდგომარეობაშია.

– ის ზამბიაშია და მის სამშობლოში დაბრუნებას ვცდილობთ, რათა ყველა აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ. აშკარაა, რომ ნიანგის კბენის შემდეგ დაინფიცირების დიდი რისკია და ფეხზე ძლიერი დაზიანება აქვს, – აღნიშნა გოგონას მამამ.

სასტუმროს ყოფილი თანამშრომელი ინტიმური ფოტოების გაყიდვით გამდიდრდა

ქალი სამხრეთ ამერიკიდან, რომელიც დიდ ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად და თავი გაჭირვებით გაჰქონდა, OnlyFans-ის წყალობით მილიონერი გახდა.

ინგლისში სასტუმროს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც თვიდან თვემდე ძლივს ინახავდა თავს, OnlyFans-ის ვარსკვლავი გახდა და ფოტოსურათებისა და ვიდეოების გაყიდვით გამდიდრდა.

20 წლის სამხრეთამერიკელმა მია კარინამ განაცხადა, რომ ჩვეულებრივ კათოლიკურ ოჯახში იზრდებოდა და ევროპაში გადასვლაზე ოცნებობდა. 2018 წელს გოგონამ თავისი მომავალი ქმარი, 28 წლის ბრიტანელი მარკო ჰოვარდი გაიცნო. მამაკაცი სამხრეთ ამერიკაში სტაჟირებაზე იმყოფებოდა და კარინას ანკეტა ტინდერში ნახა. წყვილმა მალე იქორწინა და დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა.

ცოლ-ქმარი სასტუმროებში მუშაობდა და ორივე ერთად თვეში დაახლოებით 1,3 ათას ფუნტ სტერლინგს იღებდა. კარინას თქმით. ეს თანხა ძლივს ჰყოფნიდათ და ცდილობდნენ, მდგომარეობის გაუმჯობესების გზისთვის მიეგნოთ. მალე ჰოვარდის მეგობარმა მას OnlyFans-ის შესახებ უამბო და ამ პლატფორმაზე დარეგისტრირება შესთავაზა.

კარინამ გადაწყვიტა, აკაუნტი შეექმნა, რომელიც საკმაოდ სწრაფად გახდა პოპულარული და მათმა ყოველთვიურმა შემოსავალმა 220 ათასი ფუნტი შეადგინა. ამ დროისთვის გოგონას შემოსავლები იზრდება. ის სახლს უშენებს მშობლებს, რამდენიმე მანქანა შეიძინა, რომელთა ფასი 45 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება და საკუთარი გარდერობი დიზაინერული სამოსით გაავსო.

OnlyFans-ის ვარსკვლავის თქმით, ფულის დიდ ნაწილს ის და მისი ქმარი მოგზაურობაში ხარჯავენ. კარინას მტკიცებით, ის ასეთი ცხოვრებით კმაყოფილია და არ აშინებს, რომ მკაცრი მშობლები მასზე უარს იტყვიან. ჯერჯერობით მათ ჰგონიათ, რომ ქალიშვილი საფონდო ბირჟის წყალობით გამდიდრდა.

– მშობლებს შობაზე მოვინახულებ და, შესაძლოა, მათ სიმართლე ვუთხრა, თუკი ამაზე საუბარი ჩამოვარდება. აქამდე ეს ყოველივე მათთვის გასაიდუმლოებული მქონდა, რადგან მეშინოდა, რომ ვერ გამიგებდნენ, – აღნიშნა კარინამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ასაკობრივ ნაკრებებს მეტოქეები გაურკვიეს

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ასაკობრივი ნაკრებების რამდენიმე ტურნირის წილისყრა გაიმართა.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ევრო 2022-ის ელიტ რაუნდის ჯგუფურ ეტაპზე ხორვატიას, რუმინეთსა და ისლანდიას დაუპირისპირდება.

მატჩები 2022 წლის გაზაფხულზე (23, 26 და 29 მარტს) გაიმართება. ელიტ რაუნდის მასპინძელი ქვეყანა და მატჩების განრიგი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, 19-წლამდელებმა 6-12 ოქტომბერს ნორვეგიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულეს და ელიტ რაუნდის საგზურის მოპოვება შეძლეს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი სლოვაკეთში 18 ივნისიდან 1 ივლისამდე გაიმართება.

გაირკვა 2023 წლის 19 წლამდე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრის შედეგებიც.

საქართველოს ნაკრებს საკვალიფიკაციო რაუნდში ინგლისი, დანია და მონტენეგრო დაუპირისპირდებიან. მატჩები 2022 წლის შემოდგომაზე (21, 24 და 27 სექტემბერს) გაიმართება და დანია უმასპინძლებს.

2023 წლის 17 წლამდე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრაც გაიმართა. საქართველოს ნაკრებს საკვალიფიკაციო რაუნდში მეტოქეებად ინგლისი, ისრაელი და ლიეტუვა ერგო. მატჩები 2022 წლის შემოდგომაზე (25, 28 და 31 ოქტომბერს) გაიმართება. საკვალიფიკაციო რაუნდს კი საქართველო უმასპინძლებს.

სილა ტორპედოს და უგოლო მატჩი ქობულეთში

მერანი-ტორპედო 2:0

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

1:0 სილა (13), 2:0 მელიავა (34)

34-ე წუთზე მელიავამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

მერანი: ბეგაშვილი, მელიავა, აფაქიძე, ბიბილაშვილი (ხარაბაძე 85), გეგია, ჯღამაია, შალამბერიძე, გოგოლაძე, ქანთარია (ლომთაძე 64), ლაღაძე (წულაია 72), სილა

ტორპედო: შოვნაძე, ვ.ტაბატაძე, აბულაძე, მირცხულავა, მუდიმუ, ჩალაძე (ნადარაია 66), ბუკასი (ინკუმი 46), ცინცაძე (ჩარგეიშვილი 86), მახარობლიძე (რეკიში 72), თ.ახვლედიანი, ზიდანი (წოწონავა 46)

მერანს უმაღლეს ლიგაში დაბრუნება გულში ამოუჭრია და ქუთაისის ტორპედოსთან მატჩი ძალიან აქტიურად დაიწყეს. მასპინძლებმა უკვე მე-13 წუთზე გახსნეს ანგარიში, როდესაც მალელმა ფორვარდმა შეიკნე სილამ მცველებს აჯობა, საჯარიმოში შევიდა და შოვნაძეს არცთუ აუღებელი ბურთი დაურტყა, მაგრამ მეკარემ რეაქცია დაგვიანა.

სილამ 33-ე წუთზეც გააწნა სილა ტორპედოს, როდესაც დაცვის ხაზის შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. შოვნაძემ ფორვარდი წესების დარღვევით შეაჩერა. თერთმეტმეტრიანი მელიავამ დაარტყა – ტორპედოს მეკარემ დანაშაული გამოისყიდა და აუღო, მაგრამ დამატებაზე თავად მელიავამ დაასწრო ყველას – 2:0.

შესვენების შემდეგ მარტვილელებმა აქცენტი უფრო მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებასა და ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთეს. გია ცეცაძე და მისი გუნდი კი ცდილობდა მატჩში დარჩენილიყო და ერთი გოლი მაინც გაეტანა, მაგრამ კარგად მოთამაშე გიორგი ბეგაშვილს ვერ აჯობეს.

საბოლოოდ, ქუთაისელებმა სხვაობის შემცირება ვერ მოახერხეს და განმეორებითი შეხვედრის წინ რთული ამოცანა ექნებათ გადასაჭრელი.

შუქურა-ბაგრა 0:0

ქობულეთი. ჩელე არენა

შუქურა: თებიძე, ფარტენაძე (გ.გაფრინდაშვილი 80), რეხვიაშვილი, ჭანტურია, კომახიძე, ვარშანიძე, კ.კაკაშვილი, მუსელიანი (აფხაზავა 86), კაბრალი (სარდალიშვილი 57), ჯერალდო, ინგოროყვა

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჩადუნელი, თოთაძე, ქობულაძე, სულთანიშვილი, ვეკუა, შეწირული (რ.კაკაშვილი 89), სამუშია (მუმლაძე 76), მაქაცარია (გაზდელიანი 76), გვიშიანი (ფარულავა 90)

გაძევება: თოთაძე (20)

ქობულეთში შუქურა გაგრას დაუხვდა და აქაც დაბალლიგელი გუნდისთვის გაცილებით კომფორტული ანგარიში დაფიქსირდა, ვიდრე – მასპინძელთათვის.

არადა, გაგრა მატჩის მე-20 წუთიდან კაცნაკლული თამაშობდა – 2-წუთიან მონაკვეთში ლაშა თოთაძე 2-ჯერ გააფრთხილეს.

თუმცა მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ მოახერხეს და ფლეი ოფის ბედი განმეორებით მატჩს მიაბეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ლივერპულმა მილანი გააგდო, ატლეტიკომ – პორტუ

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის პირველი სათამაშო დღე გოლებითაც უხვი გამოდგა და წითელი ბარათებითაც. რამდენიმე გუნდმა კი ფლეი ოფის საგზურიც მოიპოვა.

ა ჯგუფი

პსჟ-ბრიუგე 4:1

1:0, 2:0 მბაპე (2, 7), 3:0 მესი (38), 3:1 რიტსი (68), 4:1 მესი (76პ)

პარიზულ გუნდს ამოცანა ვადაზე ადრე ჰქონდა გადაჭრილი, ხოლო ბრიუგეს ქულებთან ერთად სხვა გუნდების თამაშზეც იყვნენ დამოკიდებული, თუმცა ამის შანსი პსჟ-მ არც კი მისცა.

კილიან მბაპეს უკვე მე-7 წუთისთვის დუბლი ჰქონდა შესრულებული. ფრანგმა ფეხბურთელმა შემდეგ მესის გაატანინა, ხოლო თავად არგენტინელმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად აქცია და მბაპეს მსგავსად დუბლი შეასრულა.

ლაიფციგი-სიტი 2:1

1:0 სობოსლაი (24), 2:0 ანდრე სილვა (71), 2:1 მარეზი (76)

სიტი გასული იყო, ლაიფციგს კი საქმის პრობლემებით მიყვანა არ სურდა. გერმანული გუნდი უკეთ გამოიყურებოდა. ამოცანის გადაჭრა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლო, იმდენი მომენტი გაანიავა, მაგრამ მაინც მიიყვანა ბოლომდე.

საბოლოო ცხრილი:

1.სიტი	6	4	0	2	18-10	12
2.პსჟ	6	3	2	1	13-8	11
3.ლაიფციგი	6	2	1	3	15-14	7
4.ბრიუგე	6	1	1	4	6-20	4

ბ ჯგუფი

მილანი-ლივერპული 1:2

1:0 ტომორი (29), 1:1 სალაჰი (36), 1:2 ორიგი (55)

ლივერპული უმოტივაციოდ იყო, ხოლო მილანს აუცილებლად მოგება სჭირდებოდა. იგებდნენ კიდეც მილანელები ტომორის გოლით, მაგრამ მო სალაჰმა და დივოკ ორიგიმ თამაში შემოატრიალეს და იტალიური გრანდი ევროტურნირების გარეშე დატოვეს.

პორტუ-ატლეტიკო 1:3

0:1 გრიზმანი (56), 0:2 კორეა (90), 0:3 დე პული (90), 1:3 ოლივეირა (90პ)

პორტუს რომ არ წაეგო, ფლეი ოფში გავიდოდა, მაგრამ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში თამაში დაუთმო და თავად ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა.

არადა, პირველი ტაიმის მერე ვერავინ იტყოდა, ატლეტიკო მოიგებსო. თუმცა გრიზმანის გოლის შემდეგ მადრიდელებს კონტრშეტევებზე ხელფეხი გაეხსნათ. შედეგად, კორეამ და დე პაულიმ მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

საბოლოო ცხრილი:

1.ლივერპული	6	6	0	0	17-6	18
2.ატლეტიკო	6	2	1	3	7-8	7
3.პორტუ	6	1	2	3	4-11	5
4.მილანი	6	1	1	4	6-9	4

C ჯგუფი

აიაქსი-სპორტინგი 4:2

1:0 ალერი (8პ), 1:1 სანტოსი (22), 2:1 ანტონი (42), 3:1 ნერესი (58), 4:1 ბერგჰუისი (62), 4:2 ტაბატა (78)

ორივე გუნდი შემდეგ ეტაპზე იყო გასული, რის გამოც სპორტინგი ამსტერდამში მე-2 შემადგენლობით ჩავიდა, თუმცა შინ პირველი შემადგენლობით გაცილებით დიდი ანგარიშით წააგო.

ასეა თუ ისე, სპორტინგი შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდა, ხოლო აიაქსმა ყველა მატჩი მოიგო ჯგუფში.

დორტმუნდი-ბეშიქთაში 5:0

1:0 მალენი (29), 2:0, 3:0 როისი (45პ, 53), 4:0, 5:0 ჰალანდი (68, 81)

დორტმუნდელებმა საქმე მანამდე გაიფუჭეს, მაგრამ ბეშიქთაში მაინც არ დაინდო და 5:0 გაანადგურა.

დუბლი გაიფორმეს მარკო როისმა და შეცვლაზე შესულმა ერლინგ ჰალანდმა.

საბოლოო ცხრილი:

1.აიაქსი	6	6	0	0	20-5	18
2.სპორტინგი	6	3	0	3	14-12	9
3.დორტმუნდი	6	3	0	3	10-11	9
4.ბეშიქთაში	6	0	0	6	3-19	0

D ჯგუფი

რეალი-ინტერი 2:0

1:0 კროოსი (17), 2:0 ასენსიო (79)

ამ მატჩს მხოლოდ იმის გადაწყვეტა შეეძლო, რომელი გუნდი გავიდოდა პირველი ადგილით, რათა ფლეი ოფის წილისყრის წინ განთესილი იყოს.

ეს საქმე უკეთესად რეალს გამოუვიდა, რომელმაც კროოსისა და ასენსიოს გოლებით იმარჯვა.

შახტარი-შერიფი 1:1

1:0 ფერნანდო (42), 1:1 ნიკოლოვი (90)

კიდევ ერთხელ გაგვაოცა შერიფმა, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა და ქულას გამორჩა, პლუს ევროპის ლიგის საგზური მიღებული ჰქონდა და ახლა რანგით მეორე ტურნირზე მშვენიერ ხასიათზე გადაინაცვლებს. შახტარი კი მოულოდნელად საერთოდ ევროტურნირების გარეშე დარჩა.

საბოლოო ცხრილი:

1.რეალი	6	5	0	1	14-3	15
2.ინტერი	6	3	1	2	8-5	10
3.შერიფი	6	2	1	3	7-11	7
4.შახტარი	6	0	2	4	2-12	2

შედეგები

7 დეკემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პსჟ-ბრიუგე	4:1
ლაიფციგი-მანჩესტერ სიტი	2:1
მილანი-ლივერპული	1:2
პორტუ-ატლეტიკო	1:3
აიაქსი-სპორტინგი	4:2
დორტმუნდი-ბეშიქთაში	5:0
რეალი-ინტერი	2:0
შახტარი-შერიფი	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკიდან

სანტექნიკოსმა ეკლესიის ტუალეტის კედელში ფულის სამალავი აღმოაჩინა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში სანტექნიკოსმა ეკლესიის კედელში ათასობით ფულის შეკვრა აღმოაჩინა.

აღნიშნული შემთხვევა ევანგელისტურ ეკლესია ლეიკვუდში მოხდა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი რელიგიური დაწესებულებაა და რომელშიც კვირაში 50 ათასზე მეტი ადამიანი ესწრება წირვას. 2014 წელს ეკლესიაში ქურდობა მოხდა, რის შედეგადაც დაახლოებით 200 ათასი დოლარი დაიკარგა ნაღდი ფულისა და 400 ათასი – ქვითრების სახით. მიუხედავად იმისა, რომ მძარცველებზე ინფორმაციისთვის ჯილდოს სახით 25 ათასი დოლარი დაწესდა, აღნიშნული დანაშაული დღემდე გაუხსნელია.

მიმდინარე წლის ნოემბერში შეკეთების სამუშაოების მიმდინარეობის დროს ეკლესიის ერთ-ერთი ტუალეტის კედელში დაახლოებით სამი ათასი ფულითა და ქვითრებით სავსე შეკვრა აღმოაჩინეს.

– თბოიზოლაცია მოვხსენი და მის შიგნიდან დაახლოებით 500-მდე შეკვრა ჩამოიყარა, – განაცხადა სანტექნიკოსმა ერთ-ერთი ადგილობრივი რადიოსადგურის ეთერში. როგორ აღმოჩნდა ფული ტუალეტში და უკავშირდება თუ არა ის შვიდი წლის წინ მომხდარ ძარცვას, ჯერჯერობით დაუდგენელია. პოლიციამ დაკითხა პასტორი ჯოელ ოსტინი, რომლის ქონება 50 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. უბანი ქუთაისში; 2. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისინი სახარატო იარაღი; 3. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ერეკლე მეფის კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ფიფას პრეზიდენტი; 14. დიდი ისტორიული პერიოდი; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელი; 18. ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

თარაზულად: 1. მოყავისფრო წინწკლები სახეზე, ხელებზე; 4. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 7. შტატი აშშ-ში; 8. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 12. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 13. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 15. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 17. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 19. პირობითი საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ტექსტი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. თემშარა; 5. სანჩესი; 10. ლანგუსტი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბურგუნდია; 16. მაიამი; 17. პალანგა; 20. დათვი.

თარაზულად: 6. სარაჯიშვილი; 7. დეგნანი; 8. ქრონიკა; 9. ჩაჟაში; 13. ლიდა; 14. მართვე; 18. უზუფრუქტი; 19. იანძი; 21. წაბლი; 22. უილისი; 23. მანდარინი; 24. ერისტიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰესე; 2. უნაბი; 3. სპოკი; 5. ავღანი; 6. ლუციფერი; 9. დენონსაცია; 10. კოპიტნარი; 11. ბარისტერი; 14. გოა; 16. ასკანა; 18. საგა.

თარაზულად: 1. ჰუმუსი; 4. ანასეული; 7. ფანხიო; 8. კუპდარი; 12. ანეტო; 13. აგენტი; 15. ხილარი; 17. ჩაი; 19. სტენოკარდია; 20. ნაიკი; 21. ღამურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0991

ევრო — 3.4998

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0911

100 რუსული რუბლი — 4.2050

ამინდის პროგნოზი 9 დეკემბრისათვის

ანჩელოტიმ თავისი ფეხბურთელები შეაქო

კარლო ანჩელოტიმ ინტერთან გამარჯვების შემდეგ თავის ფეხბურთელებზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს და რეალი ამჟამად თითქმის იდეალურ ფორმაშია:

– ჩვენ დამაჯერებლად გავიმარჯვეთ და ეს ფაქტი მახარებს, თუმცა ყველაზე მეტად ჩვენი თამაშის ხარისხი მსიამოვნებს, რადგან ვხედავ, რომ ყოველდღიურად უკეთესები ვხდებით. მინდა, სეზონის ბოლომდე ასე დამაჯერებლად ვიასპარეზოთ.

დეპაის, შესაძლოა, ბარსელონის დატოვება სურდეს

ბარსელონის ფორვარდ მემფის დეპაის, შესაძლოა, გუნდის დატოვება სურდეს. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ესპანურ პრესაში, სადაც წერენ, რომ დეპაის კუმანთან მუშაობა სურდა და მისი წასვლის გამო ის უკმაყოფილოა.

თვითონ დეპაიმ ეს ყველაფერი უარყო და თქვა, რომ ბარსელონაში დიდი ხნის განმავლობაში სურს თამაში. დეპაის ბარსელონასთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

სტეფანო პიოლიმ ლივერპულთან მარცხზე ისაუბრა

მილანი საკუთარ მოედანზე ლივერპულთან დამარცხდა და საბოლოოდ ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მილანი ევროტურნირების მიღმა დარჩა.

პიოლიმ ისაუბრა იმაზე, რომ მილანი ბოლომდე იტალიის ჩემპიონატზე გააკეთებს აქცენტს და ისინი ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ:

– სამწუხაროა, რომ ევროტურნირებს გამოვეთიშეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო. კონცენტრირებას იტალიის ჩემპიონატზე გავაკეთებთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრინცი უილიამი კეიტ მიდლტონის ფოტომ გააბრაზა

ბრიტანეთის პრინცი უილიამი გაბრაზდა იმ ფოტოგრაფებზე, რომლებმაც მის მეუღლეს ფოტოსურათები საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადაუღეს.

სურათი ჯერ კიდევ 15 წლის წინაა გადაღებული. იმ დროს სამეფო ოჯახის წევრის მომავალი მეუღლე საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობდა, პაპარაცები კი ყველგან დასდევდნენ. სამეფო ექსპერტმა რიჩარდ პალმერმა დააზუსტა, რომ კეიტს ფოტოსურათი ლონდონის ავტობუსში გადაუღეს, რომელიც კინგს-როუდზე იმ დღეს გასაუბრებაზე მიდიოდა.

– უილიამი შეშფოთებულია იმით, რომ მის მეგობარ გოგონას პაპარაცები ისევე დასდევდნენ, როგორც დედამისს და ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, ეს როგორ დასრულდა, – განმარტა პრინცის შეშფოთების მიზეზი პროფესორმა სიუზან ლიპსკომბმა.

– საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ფოტოგრაფი კეიტს მთელი დღე უთვალთვალებდა. უილიამი სწორედ ამან გააცოფა, – დააზუსტა ბიოგრაფმა მარსია მუდიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 დეკემბრისათვის

ვერძი – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, თურმე აშშ-ში მოზრდილ მამაკაცს საშუალოდ კვირაში სექსი 2-3-ჯერ აქვს, ხოლო იაპონელს 1-2-ჯერ წელიწადში.

– მართლა? არ ვიცოდი, თუ იაპონელი ვიყავი.

●●●

კაცი გაზეთში კითხულობს: „ინდოეთში პოლიციამ მამაკაცის კობრაზე დაქორწინება ჩაშალა...“

– აბა ჩვენ პოლიციას კი არ ჰგავს, მახრჩობელას რომ ვირთავდი, არც კი გაუფრთხილებივარ, – ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

●●●

სოფელში სტუმრად ჩასული ქალაქელი გოგონა ბებიას ეკითხება:

– ბებო, აქ ღამით გავლა სად შეიძლება?

– „ვედროში“ შვილო.

●●●

ცოლი და ქმარი კამათობენ. ცოლი ეუბნება:

– ოჯახის უფროსი შენ ხარ და შენვე გადაწყვიტე.

– მე რატომ ვარ? მე და შენ ხომ ერთად ვიღებდით გადაწყვეტილებებს...

– სულ ერთია, შენ ხარ ოჯახის უფროსი!

– რატომ მე?

– ნუ მეკამათები! ვთქვი და მორჩა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ერთაწმინდის ტაძრის სარკმელი ღუმლის მილით დაამახინჯეს

კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე საუკუნოვანი და ისტორიული ერთაწმინდის ტაძარი ღუმლის მილით დაამახინჯეს.

ფოტო და ინფორმაცია დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– 800 წლის ამ საოცარ ჩუქურთმებს რომ ღუმლის მილს გაუყრი, რაღაზე უნდა ვისაუბროთ?! იმ მღვდლის დეგენერატიზმი ხომ რეკორდს ხსნის?! ერთაწმინდის ტაძარი კასპის მუნიციპალიტეტში გაიკვამლება-არ გაიკვამლება, ფეხებზე ჰკიდია, მთავარია, გვერდები გაითბოს.

ბოლნისის მუზეუმი ევროპის საუკეთესო მუზეუმების ფინალური ნომინანტია

ეროვნული მუზეუმის ბოლნისის ახალი მუზეუმი ევროპის მუზეუმების ფორუმის მიერ კონკურსის „ევროპის წლის მუზეუმი – 2022“ ფინალურ ნომინანტად დასახელდა.

კონკურსზე საქართველო პირველად 2016 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმით წარდგა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის კულტურული დაწესებულებების აღიარებისა და პოპულარიზაციის გზაზე.

ევროპის საუკეთესო მუზეუმებს ევროპის მუზეუმების ფორუმი 2022 წლის მაისში ესტონეთის ქალაქ ტარტუში დაჯილდოების ცერემონიაზე გამოავლენს.

ევროპის წლის მუზეუმის ჯილდო 1977 წელს ევროპის საბჭოს ეგიდით დაარსდა. ჯილდო გადაეცემა მუზეუმს, რომელიც წარმატებულია აუდიტორიის მოზიდვისა და ვიზიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხებში თავისი უნიკალური ატმოსფეროთი, ინტერპრეტაციითა და პრეზენტაციით, განათლებისა და სოციალური პასუხისმგებლობისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დატოვეს

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის გადაწყვეტილებით, რეჟისორი რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დარჩა.

მინისტრმა გამოიყენა დისკრეციული უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, უკონკურსოდ დაენიშნა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სამი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

რობერტ სტურუასთან ერთად, მან კიდევ ორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნა – რეზო გაბრიაძის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი და მსახიობი ლევან გაბრიაძე, ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრის აფხაზეთის სამხატვრო ხელმძღვანელად კი – რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი გელა კანდელაკი.

ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ ოსკარის გრძელ სიაშია

ქართველი რეჟისორის ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ საქართველოს ოსკარზე წარადგენს. ამერიკული კინოაკადემიის მესვეურებმა უკვე გამოაქვეყნეს იმ ფილმების გრძელი სია, რომელთაც ოსკარის მოპოვების შანსი აქვთ. ჩამონათვალში ლევან კოღუაშვილის ფილმიცაა.

გრძელი სია ამერიკული კინოაკადემიის სამ ნომინაციაში გამოქვეყნდა – საუკეთესო საერთაშორისო ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი და საუკეთესო ანიმაცია.

„მეოთხე ბრაიტონი“ საუკეთესო საერთაშორისო ფილმის ნომინაციაში მონაწილეობს. მასში მთავარ როლს ლევან თედიაშვილი ასრულებს. ამავე ფილმში ითამაშა თავისი უკანასკნელი როლი კახი კავსაძემ.

ლევან კოღუაშვილის ნამუშევარი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. მისი თბილისური პრემიერა რამდენიმე დღის წინ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ფილმი ქართველ ემიგრანტებზე შეულამაზებელ ისტორიას გვიყვება.

„ნიჭიერმა“ პირველი ნახევარფინალის რჩეულები დაასახელა

სახალხო შოუ „ნიჭიერი“ პირდაპირ ეთერში ნახევარფინალებით დაუბრუნდა მაყურებელს. ათასობით კონკურსანტის შეფასების შემდეგ ჟიურომ ნახევარფინალისტები შეარჩია.

მაყურებელმაც ხმის მიცემით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

ხალხის რჩეული გახდა ჯგუფი „არტ ლაიფი“, ხოლო ჟიურის რჩეულებად დასახელდნენ ლუკა გამყრელიძე და სალომე გოგეშვილი.

რევაზ ლაღიძის სახელობის გუნდმა ბელგიაში წარმატება მოიპოვა

კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სახელობის ბავშვთა გუნდმა ბელგიაში საუკეთესო გამოსვლით წარმატება მოიპოვა.

„ლაღიძის გუნდი“ და მისი ქორმაისტერი მაგდა მათითაიშვილი ბელგიაში გამართულ მსოფლიო საგუნდო ფესტივალზე საბავშვო კატეგორიაში საუკეთესო 21 გუნდს შორის მოხვდნენ. მათ დაიმსახურეს შეფასება „საუკეთესო“ ჩინეთის, რუსეთის, სლოვაკეთისა და საბერძნეთის საბავშვო კოლექტივებთან ერთად.

ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე გუნდი მონაწილეობდა და ეს გამარჯვება ნამდვილად საამაყო ფურცელია საქართველოს საგუნდო ხელოვნებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. მძიმე ტვირთების მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 4. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 5. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. მდგომარეობა ჭიდაობაში; 11. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. სამფენოვანი მინა; 16. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 17. აეროპორტი რომში; 20. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

თარაზულად: 6. სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა; 7. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 19. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 22. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 23. შემაგრებული ღვინო; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა